საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა
ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეექვსე.

ოთხშაბათ, ქრ სტეშობისთვ ს 8. 1920

№ 168

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანში სადგური (ვაგზლის) ქ. № 5.

სერგო პავლეს ძე ჩხეიძე, ნინა პავლეს ასული დადიანისა და შალიკო ხერგის ძე ჩხეიძე აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს რომ გარდაიცვალა პირველთა მამა და მესამეს ბაბუა

პავლე ბექანის-ძე ჩხეიძე

რომლის გამოსვენება იქნება მიქაბერიძის სახლიდან ქუთაისში 7 დეკემბერს საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა მოხდება 9 მდგომარე დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე ს. თვრინში საგვარეულო სასაფლაოში.

მწერალთა კავშირის ინიციატივით ამ დღეებში

კოწია გამსახურდია

წაიკითხავს ტფილისში ✦ ✦ ✦ ✦ მოხსენებას

თანამედროვე გერმანიის პოლიტიკისა ✖ ✖ და კულტურის პრობლემები ✖ ✖

დრო და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

ხუთშაბათს, დეკემბრის 9-ს პირველად

ბერდო-ზმანია

ალ. შანშიაშვილისა

დეკორაციები და ტანისამოსი ვალ. სიდამონ ერისთავისა

მუსიკა დ. არაყიშვილის ბალეტი და ხორო. რეჟისორი ალ. ახმეტელი.

შაბათს, დეკემბრის 11-ს მეორეჯერ

ბერდო-ზმანია

კვირას, დეკემბრის 12-ს

გვარდიის საღამო

4 დეკემბრის წარმოდგენისათვის („ბერდო-ზმანია) აღებული ბილეთები გამოდგება 9 დეკემბრის წარმოდგენისათვის.

სახელმწ. თეატრი

ოპერა

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, პირველად განახ. შემდეგ

„ფრა-დიავოლო".

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს, პირველად განახ. შემდეგ

„ტოსკა".

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

„სორაპანის" გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ 1921 წ.

„კალენდრები"

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

1) კედლის კალენდარი.
2) ჯიბის კალენდარი
3) მოძრავი კალენდარი ქართულ-რუსული
4) თვიური კალენდარი ქართულ-რუსული

უმეტესი დამგზავნელია წითელი სალუმაგით მისამართი თბილისი სტამბა „სორაპანი" მ. გაჩეჩილაძე.

3—3 2295

ვაჟლევე

ფრანგულ ენის გაკვეთილებს თეორია და პრაქტიკა

(დიპლომი პარიზის უნივერსიტეტისა სორბონის.) ვამზადებ აგრეთვე გერმანულში და იტალიურ ენებში. სასამართლოს ქუჩა № 38. მეორე ეზო. ჰკითხეთ მეეზოვეს. ნახვა შეიძლება საათის 4 და 4 ნახევარზე.

გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი

იძლევა გაკვეთილებს

სასურველია დილის საათები

მისამართი ეროვნ. დემოკრ. ბიურო (სასახლ. ქ. № 5)

ტელეფ. № 3-02 გამოელაპარაკეთ 10-2 საათამდე.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

წლიური კრება

დანიშნულია კვირას დეკემბრის 12-ს, სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა), დილის 11-ს საათზე.

კრების საგანი: 1. საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ გასავლის წლიური ანგარიში 1919 წლისა და სარევიზიო კომისიის აქტი; 2. ხარჯთ აღრიცხვა 1920 წლისათვის; 3. მოხსენება ს. გორგაძისა — ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან (1550—1920 წ. წ.); 4. ახალ წევრების არჩევა.

გაზ. „საქართველო"-ს

აგენტების საყურადღებოდ

თელავი, ყვირილა, გორი, ფოთი, ბ. თომი, სამტრედია.

გაზ. „საქართველო"-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები:

წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.

განცხადება

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა

ამით აცხადებს თავის წევრთა და არა წევრთა საყურადღებოთ, რომ 20 დეკემბერს 1920 წ. საღამოს 6 საათზე ქუთაისის წმიდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში დანიშნულია ქუთაისის განყოფილების წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია: 1) 1919 და 1920 წლების ანგარიში, 2) 1920 და 1921 წლების ხარჯთ-აღრიცხვა, 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა და 4) მიმდინარე საკითხები.

იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ დროზე არ გამოცხადდება წევრთა კანონიერი რიცხვი, საზოგადოების წესდებ. § 77 მუხ. თანახმად, იქვე ერთი საათის შემდეგ სდგება განმეორებითი კრება და ჩაითვლება კანონიერად, მიუხედავათ დამსწრეთა რაოდენობისა.

ამ საზოგადოებით დაინტერესებულ არა წევრთ სრული უფლება აქვთ მობრძანდენ და მიიღონ კრებაში მონაწილეობა, თუ კრების გახსნამდის ჩაეწერებიან საზოგადოების წევრებათ.

1—140—1.

ბოლშევიკური რკალი.

რკალი შეიკრა! ჩვენს სახელმწიფოს შეჰრჩა მხოლოდ ზღვა, რომელიც აერთებს მას კულტურულ ხალხებთან, წესიერებისა და მართებულობის დამცველ სახელმწიფოებთან. სამი მხარე, მთელი ხმელეთის ხაზი არამც თუ უსპობს ჩვენს სამშობლოს საშუალებას შესაფერი დამოკიდებულება და კავშირი იქონიოს განათლებულ კაცობრიობასთან, ეს რკალი დიდი ხიფათის წინაშე აყენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხს... კიდევ მეტი: ბოლშევიკური რკალი საშიშროებას უმზადებს ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას! ის, როგორც ანტინაციონალური და ანტისახელმწიფოებრივი მომენტი არსებითად უარმყოფელია საქართველოს სუვერენიტეტისა! ბოლშევიზმს სწამს მხოლოდ სოციალური კატეგორია, ისიც თავისებურად, ისე, როგორც ჩასახულია კომმუნისტების სპეციფიურ დოქტრინაში...

საქართველოს გარშემორტყმული რკალი სომხეთის მოულოდნელმა „გაწითლებამ" შეჰკრა მთლად. კავკასიაში დარჩა ერთად-ერთი სახელმწიფო, თავისებურად განმარტოებული და მოშორებული მოწინავე კაცობრიობას.

საჭიროა იმისი მტკიცება, რომ ბოლშევიკების უახლოეს მიზანს შეადგენს ჩვენი ქვეყნის „გაწითლებაც"!? გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებმა, რომელთა სისწორეში ეჭვის მიტანაც კი შეუძლებელია, ცხადზე უცხადესად დაგვიმტკიცეს, რომ ბოლშევიზმს საქართველოში „ვოლონტიორების" გარდა სათავეში უდგა მოსკოვის საბჭოთა მთავრობის სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლობა! წინადაც გვქონდა მრავალი საბუთი გვეფიქრა, რომ ბოლშევიკური პროპაგანდა და აშკარა აჯანყებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ეწყობოდა საბჭოთა რუსეთის ამ „სრულ-უფლებიან წარმომადგენლობის" უახლოესი თანამშრომლობით: ჩვენ ძლიერ კარგად ვიცნობთ იმ „ფიგურებს", რომელნიც გარს ეხვევიან ბოლშევიკურ მისსიას და მისი თანხებით ანგრევენ საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებას. აქ ჭეშმარიტად ინტერნაციონალური კრებულია თავმოყრილი და მას „ავანგარდში" უდგა მისი ქართული ელემენტი..

სომხეთის გადატრიალებამ ფრთები შეუსხა მათს დიდი ხნის ოცნებას! მათ ფეხის ხმას უდიდესი ხალისით აჰყვნენ ყველა ისინი, ვისთვისაც ამა თუ იმ მოსაზრებით მიუღებელია საქართველოს დამოუკიდებლობა და ვინც ამ ხნობამდის ფარულად მუშაობდნენ ჩვენი თავისუფლების გასაცამტვერებლად! ქართველი ბოლშევიკები ყველა ამ თვენ მე დროდ არიან გადამწყვნი და მოუთმენლად ელიან იმ დროს, როდესაც დაცხრომილ და გაპერანგებულ საქართველოში ისევ კოლონიზატორულად იბატონებს „რუსული ქუსლი". დღევანდელი ვითარება საბუთს აძლევს ყველა ჯურის ბოლშევიკებს იფიქრონ, რომ ეხლა ჟამი დადგა მათი განუკითხავი თარეშობისა და ამიტომ მათს მოქმედებასაც უფრო მეტი აქტიობა მიეცა და მათი სიტყვაც უფრო მაგარი და შეუპოვარია.

რუსულ ქართულ ბოლშევიკურ გაზეთებში დღეს თქვენ შეხვდებით მენშევიკურ მეთოდების უხრალო კრიტიკასა და დაგმობას კი არა, არამედ ნამდვილ მოწოდებებს საქართველოს გაბოლშევიკებისათვის: ბოლშევიკებს განუზომელ სიამეს აგრძნობინებს ირგვლივ ატყდარი „გამარჯვების ლუბელი გრგვინვა", რომელსაც „დიდი აწმენ" უნდა მოჰყვეს, ანუ კონკრეტულად, საქართველოში ხელმწიფება უნდა გადაეცეს „მუშათა საბჭოებს", ესე იგი იმ ორგანოებს, რომელნიც რუსეთის ცხოვრებას სათავეში მოექცნენ 25 ოქტომბერს 1917 წელს და მას აქეთ ჩაჰკლეს და ჩამოახრჩეს უზარმაზარი სახელმწიფო, სისტემატიური უძმელობით ამოსწყვიტეს ხალხის უფლები [illegible] მიითვისეს სახელმწიფოს სიმდიდრე, წაშალეს კულტურის ნიშანწყალი, დაამუნჯეს ხალხის საუკეთესო, საქმიანი და განათლებული ნაწილი და მოახრჩობილ სასაფლაოდ აქციეს ოდესღაც ლიბერალ ბათა შემქმნილი დიდი პოლიტიკური ორგანიზმი! რუსეთის სივრცეზე დღეს ნაძირალები მეფობენ! დეკლასსიური ელემენტი სახელმწიფო მოღვაწედ „მოინათლა"... ბოლშევიკებს აქამდის არაფერი დაუზოგავთ, რომ რუსეთის ხალხი გარდაექმნათ „ხატებისა და მსგავსებისა თვისისამებრ", მაგრამ ყოველი ცდა ამაოდ დარჩა, გარდა იმისა, რომ—ერთი რუსული საზღვარ გარეთელი გაზეთის სიტყვით რომ ვსთქვათ—დიდი ცდა არის ახალი ქიმური არისტოკრატიის შექმნისა...

როდესაც ბოლშევიკები დაუსრულებელ ფრაზებით ამკობენ თავის პარტიის სახელმწიფოებრივ და სოციალურ უპირატესობას, მათ ავიწყდებათ, რომ საუცხოვო საილლუსტრაციო მასალას მათი პრაქტიკული მოღვაწეობისას იძლევა დღევანდელი რუსეთი, რომლის მდგომარეობა შეაძრწუნებს სულ უკანასკნელ აფრიკელ ჰოტენტოტსაც—კი.

სიტყვების რახუნით მეტად საეჭვოა ფონს გასვლა! საქართველოს დემოკრატიას, ვგონებ, იმდენი სახელმწიფოებრივი და ნაციონალური შეგნება შესწევს, რომ მორჩილებით არ გაჰყვეს იმ ადამიანების ძახილს, რომელთაც ყველგან და ყოველთვის მარტო ნგრევა უწარმოებიათ!

მართალია, დღევანდელი სახის საქართველო არ არის დამაკმაყოფილებელი სახელმწიფო თვალსაზრისით: სოციალდემოკრატების სახელმწიფოებრივ მეთოდებში უარყოფითი მხარე ერთობ სჭარბობს სახელმწიფოსათვის გამოსადეგს და აქაური „ექსპერიმენტებიც" არ არის მაინც და მაინც „უმაღლესი მარკისა", მაგრამ ვილას მოუვა ჭკუაში „ვაის" გაექცეს და „ვუის" შეეყაროს?!

ბოლშევიკებს, ვფიქრობთ, ერთი დიდი გარემოება გამოეპარათ მხედველობიდან: ზოგიერთ პროფესსიულ ორგანიზაციებში „გამარჯვებას" მათ შეუსაბამო მნიშვნელობა მისცეს და მთელი ქართველი ხალხი თავის „ფეხთა ქვეშე" დამხობილად ელანდებათ... ნაადრევი ოცნებაა!

მენშევიზმმა რა ხეირი დააყენა საქართველოს, რომ ჩვენი შეწუხებული ხალხი მენშევიზმის უარეს მხარეს—ბოლშევიზმს ჩაუვარდეს ხარბ ხელში?!

ხალხის ხსნა აქ არ არის! ჩვენ უნდა ვუყუროთ ევროპას, სხვა განათლებულ ქვეყნებს და მათგან ავიღოთ მისაბაძი მაგალითი...

ბოლშევიკური რკალი ვერ შეაშფოთებს ქართველობას...

წარმავალი მოვლენა ვერ შეაყენებს ქართველი ერის სვლას ნაციონალურ თავისუფლების გამაგრებით ევროპის ცივილიზაციის საზიარებლად...

ბოლშევიკ-მენშევიკების კამათი

ქართველ ბოლშევიკებსა და მენშევიკების შორის „თეორიული" დავა დამთავრდა. მათ სავსებით ამოსწორეს „იდეოლოგიური" განსხვავებანი და მუყაითად შეუდგნენ თავიანთი პრაქტიკული „მუშაობის" განქექვას... როგორც ეტყობა, ამ სფეროში უფრო ეხერხებათ დავა ოდესღაც ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორ შეურიგებელ ფრთას. არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც ბოლშევიკები და მენშევიკები ჯერ ერთს „ტაფაში იხრაკებოდნენ" ერთად, განუყრელად და მერე ორივენი ერთადვე სხვებს „ხრაკავდნენ"... ერთიერთმანეთის საიდუმლოებანი ორივემ საუცხოვოდ იციან და ამიტომ არც უძნელდებათ ფაქტებისა და საბუთების გადაშლა განცვიფრებულ საზოგადოების წინაშე.

დღეს საქართველოში ბოლშევიზმი და მენშევიზმი დაუზოგველ ბრძოლას აწა- [illegible]

დღეს.

ვრანგელმა საფრანგეთის მთავრობას სთხოვა, მის განკარგულებაში მყოფი რუსეთის ლაშქარი მოკავშირე სახელმწიფოებმა გამოიყენონ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პოლონეთის მთავრობამ პეტლიურა სამოქალაქო ტყვედ გამოაცხადა.

არგენტინამ უარი განაცხადა ერთა ლიგის მომავალ კრებაში მონაწილეობის მიღებაზე.

ლონდონის კონფერენციაზე მოკავშირეთა სახელმწიფოების პრემიერებმა დაადგინეს საბერძნეთის ტახტზე კონსტანტინეს დაბრუნებაზე საბერძნეთის მთავრობამ უარი განაცხადოს.

ამავე კონფერენციაზე მოხდა საფრანგეთ-ინგლისის საბოლოო შეთანხმება.

წერილები.

მეთაური: ბოლშევიკური რკალი.
ბოლშევიკ მენშევიკების კამათი.
ვასილ წერეთელი: სხვა და სხვა კავშირი.
ია ეკალაძე: ქართული ენის ახალი კურსები.
ია კარგარეთელი: „ლოლატი".
ჩვენი კორესპონდენტები: ქუთაისი.

ქვეყანაში გაბატონებულ პარტიას ფომგზა ის პარტია, რომელსაც „მილტიადის დაფნები" მოსვენებას არ აძლევენ და რომლის ყოველი ნაბიჯი იმისაკენ არის მიმართული, რომ მმართველ პარტიას დააყრევინოს პორთფელები და თავის ადგილზე ჩაიწყვიტოს.

ქართველი ხალხი ამ ორი პარტიის „იდეოლოგიურ" პოლემიკას გარეშე იდგა, მაგრამ ისევე ხალხი დიდის ყურადღებით ისმენს ბოლშევიკ-მენშევიკების ერთიერთმანეთის დაბეზღებას მათ პრაქტიკულ მოღვაწეობის სფეროში. აქ ბევრი საყურადღებო რამ ირკვევა! ამ ხნობამდის დაფარულსა და მიჩქმალულს ნელ-ნელა ფარდა ეხდება. სურათი შემზარავია! სახელმწიფოში დაგროვილი და მზრუნველი ხელით დახოგვილი ქონება სადღაც გაჰქრა! უმდიდრესი საწყობები მილიარდის ღირებულების ქონებით უცებ განიავებულა. სისტემატიური მტაცებლობით იძარცვებოდა სახელმწიფოს მეღვლი, ხოლო ხალხის უმრავლესობა, ყველა ისინი, ვინც დღევანდელ „სახადიმო სუფრის" გარეშე დატოვებული არიან, ისევ ჩაუცმელი და დამშეული დარჩებიან.

ვინ არ დაეპატრონა სახელმწიფო ქონებას? ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ორგანიზაციას, რომელსაც სულ ცოტა რამ მაინც სცხია სოციალისტურ პარტიული, „მუშური", პროფესსიული, რომ არ მიეკუთვნებინოს ესა თუ ის საწყობი და საზოგადოთ სიმდიდრე.

უკონტროლო გამგებლებათ ყველა ამ დაწესებულებებში არიან ან მენშევიკები მხოლოდ, ან ისინი ბოლშევიკებისა და სხვა სოციალისტების უახლოესი თანამშრომლობით.

აქამდის ყრუდ გვესმოდა მათი საქმიანობის შესახებ. ზოგჯერ მხოლოდ დიდი და სენსაციური ფაქტი სახელმწიფო ქონების განიავებისა ხდებოდა საზოგადოებრივ ყურადღების საგნად, მაგრამ ფარდა მალე იფინებოდა და მის უკან რაც ხდებოდა ყოველდღიურად და სისტემატიურად, ეს მხოლოდ მომქმედ პერსონაჟებმა და მათ ავანჩავანებმა იცოდნენ.

რა ხდება ამ საზოგადოებრივ—პარტიულ ორგანიზაციებში? ამაზე ხმამაღლა ალაპარაკდა ბოლო დროს ქართველ ბოლშევიკების პრესსა. ალაპარაკდა იმიტომ კი არა, რომ გული შესტკიოდეს ხალხის დოვლათის ცინიკურად დატაცების გამო,—რას დაგიდევენ ბოლშევიკები „ბურჟუაზიულ" მცნებას—? ხმაურობა იმიტომ ასტეხეს ბოლშევიკებმა, რომ საქართველოში ზოგ ადგილას ისინი აღარ არიან „ქონების მეგობრულად დანაწილების" ზიარნი და შეიქმნა ერთგვარი არეულობა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის: „ახალი კომუნისტი" და „ნოქარი კომუნისტ" ერთს მხარეს, „ერთობა" და „ბორბა" მეორეს.—ვინ გამართლდება, ჯერ გამოურკვეველია! იერიშები კი ორივეს სასტიკი მიაქვთ ერთიერთმანეთზე! არ ინდობენ არავის და არაფერს...

ჩვენს წინ კი იშლება უწმაწურობისა და უკიდურესად დაქვეითების სურათი: საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ნამდვილი ბინაში ყოფილა გამეფებული! ეზიდებიან იქიდან შიგ მოკალათებულნი ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდებათ და იმ „ჟასებში", რაც მათვე მოეპრიანებათ. მიდის და მიდის გაუმაძღრების ხელში: მაუდი, ხავერდი, შუშა, საპონი, ოთხი ვეხი საქონელი, ყველა ჯურის საჭოვაფე, ჭურჭელი, ფეხსაცმელი, ტყავი და ვინ მოსთვლის კიდევ, რა...

ბოლშევიკებს და მენშევიკებს დიდი კამათი აქვთ იმაზე, თუ ვინ უფრო მეტს მოხვეჭა საწყობებიდან საქონელს. ვინ მოქმედობს „კანონის" ფარგლებში, ვინ არღვევს პირიქით „ნორმებს".

ეს „სასახელო" თემა მათვე დავუტოვოთ: მონაწილენი, რა თქმა უნდა, უკეთესად გაერკვევიან საკითხების ხლართში, შეიძლება ამ პროცესში უნებლიედ ახალი მასალა მიაწოდონ აბუჩად აგდებულ საზოგადოებას თავისი „ნამოღვაწარის" სხვა „შტრიხების" გამოსაცხადებლად.

ჩვენ დავკმაყოფილდებით მოვლენების აღნუსხვით! იმ საც ვიკმარებთ, რომ საზოგადოების ყურადღებას მივაპყრობთ სა და შველას ელოდებოდეს ქვეყანა, რომლებსაც უმართებულო საქციელში ცხადათ ამხელენ და თავის გასამართლებლად მხოლოდ იმას გაიძახიან: 12 არშინი კი არ წამიღია—8—ო!...

ბოლშევიკებისა და მენშევიკების კამათი დიდი ყურადღების ღირსია.

„თეორიის" საუცხოვო ილლუსტრაციით დასრულდა!

ევ. გეგეჭკორი ვივიანთან.

თფილისი. დეკემბრის 7. ნოემბრის 5 ე. გეგეჭკორმა ინახულა საფრანგეთის დელეგატი ერთა ლიგაში ვივიანი და გააცნო რა მას საქართველოს მდგომარეობა, სთხოვა აღმოეჩინა დახმარება საქართველოს რესპუბლიკისათვის მის კანონიერ სურვილში ერთა ლიგაში მიღების შესახებ. ვივიანი დიდის ყურადღებით მოეპყრო ე. გეგეჭკორის მიერ წარდგენილ მოსაზრებებს და დაპირდა მას, რომ ერთა ლიგის მომავალ უახლოეს სხდომაზე იგი (ვივიანი) მიიღებს თავის თავზე დაცვას და საქართველოს შუამდგომლობის დასაბუთებას ერთა ლიგაში დაშვების შესახებ. ამ დაპირებას საქართველოს რესპუბლიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თანახმად ერთა ლიგის სტატუტისა ის სახელმწიფონი, რომლებიც არ ითვლებიან ლიგის წევრებათ, მოკლებულნი არიან საშუალებას დაიცვან უშუამავლოთ თავისი წინადადება ერთა ლიგაში მიღების შესახებ და მათ ინტერესების დაცვა უნდა გამოდიოდეს ერთა ლიგის რომელიმე ძველ წევრისაგან, რომელიც მიიღებს თავის თავზე „ვექილის" როლს.

ე. გეგეჭკორის ვივიანთან მოლაპარაკებას დაესწრო რენოდელი, რომელიც იცავდა საქართველოს რესპუბლიკის უფლებას დამოუკიდებლობაზე და მხურვალედ ამტკიცებდა საქართველოს ერთა ლიგის შემადგენლობაში მიღების აუცილებლობას.

საბჭოთა სომხეთში.

ვინ მოახდინა სომხეთში ბოლშევიკური გადატრიალება.

სომხეთიდან ჩამოსული ავტორიტეტიული პირები გადმოგვცემენ შემდეგს. დელიჟანში და ქარავან-სარაიში ადგილობრივი სომხებისაგან არ მომხდარა აჯანყება; არც სომხეთის ჯარი იყო ამ რაიონებში.

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში საბჭოთა რუსეთის წითელი ლაშქარი მოულოდნელად შემოვიდა ქარავან სარაიში, რის შესახებაც სომხეთის მთავრობამ ლეგრანს ულრმესი პროტესტი განუცხადა. ლეგრანმა წითელი ლაშქრის შემოსვლა ქარავან-სარაიში გაუგებრობას მიაწერა, და სომხეთის მთავრობას აღუთქვა, რომ წითლებს დაუყონებლივ უკან გაიწვევდა; მიუხედავად ამისა საბჭოთა რუსეთის ლაშქარი დელიჟანშიც შევიდა. აქ მოხდა შეტაკება სომხეთის ადგილობრივ საყარაულო ჯართან და წითლებს შორის. სომხები დამარცხდენ და საბჭოთა რუსეთის ლაშქარი დელიჟანში ჩადგა. წითელ ლაშქართან ერთად დელიჟანში ჩამოვიდა ბაქოში წინასწარ შედგენილი საბჭოთა სომხეთის რევკომი.

ამასობაში ვრაციანის მთავრობის კაბინეტი გადადგა და სამოქალაქო სამხედრო ძალა-უფლება გადასცა გენერ. ჰდროს. გენ. ჰდრომ მოლაპარაკება გამართა რევკომთან, საიდანაც გამოირკვა, რომ სომხეთის ბოლშევიკურ მთავრობაში სამოქალაქო ომის თავიდან აცდენის მიზნით პერსონალურად შევლენ გენ. ჰდრო და მემარცხენე დაშნაკელი ტერტერიანი.

ამავე დროს დეკემბრის 3 ს საათის 4 ზე ერივანში შესდგა ადგილობრივი რევკომი, რომელმაც თავისი თავი საბჭოთა სომხეთის მთავრობად გამოაცხადა და ამ ახალ მთავრობაში კი ტერტერიანი აღარ მოხვდა. გენ. ჰდრო კი ისევ პერსონალურად მთავრობაში შევიდა.

ამის შემდეგ ერივანში შემოვიდა წითელი ლაშქრის ავანგარდი". („სლ.").

საუბარი ა. ლ. შეინმანთან

რამდენად მართალია ხმები, თითქოს სომხეთში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდარიყოს არა მარტო ადგილობრივი ძალების შემწეობით, არამედ გარეშე ძალის აქტიური ჩარევით; მაგალითად ბაქოში რამოდენიმე ხნით წინასწარ ყოფილა შემდგარი სომხეთის საბჭოთა მთავრობა და აგრეთვე ბოლშევიკური ლაშქარი, რომელიც სომხეთის წინააღმდეგ უნდა წასულიყო.

— ჩემთვის საეჭვო არ არის—უპასუხა შეინმანმა,—რომ სომხეთში მომხდარი ამბები, სომხის ხალხის სურვილის ნაყოფია. დეპეშები დელიჟანიდან და ქარავან-სარაიდან, სომხის გლეხობის დელეგაცია—რომელნიც საბჭოთა აზერბაიჯანს სთხოვდნენ დახმარებასა და აცხადებდენ, რომ ისინი არ ემორჩილებიან სომხეთის მთავრობას,—და მრავალი სხვა მსგავსი ფაქტები ასაბუთებენ ჩემს შეხედულებას. აშკარა იყო, რომ სომხეთის მთავრობამ დაჰკარგა ქვეყნის მართვა-გამგეობის ნიჭი და უნარი. მას შეეძლო კიდევ დიდხანს ეხოვნა, მაგრამ მაშინ მთავრობა უსომხეთოდ დარჩებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენის მხრით საბჭოთა სომხეთის მთავრობის შესაქმნელად არ ყოფილა რაიმე გარეშე ძალის დახმარების ცდა. რაც შეეხება ადგილობრივი პრესაში გავრცელებულ ხმებს, თითქოს ბაქოში ყოფილიყოს საბჭოთა მთავრობის პასუხისმგებელ პირთა საგანგებო თათბირი სომხეთის შესახებ, სადაც გამოეტანოთ „ერთობ საყურადღებო" რეზოლუცია საერთოდ კავკასიის შესახებაც და სხვა, ყოველივე ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მე ესეცაა ჩამოვედი ბაქოდან, სადაც ვინახულე ორჯონიკიძე, სტასოვი, ნარიმანოვი და სხვანი და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ არავითარი „საყურადღებო დადგენილებანი" მათ არ გამოუტანიათ ხსენებულ საკითხების შესახებ.

დაშნაკელები სომხეთის რევკომში

როგორ უყურებთ თქვენ იმ ფაქტს, რომ სომხეთის საბჭოთა მთავრობაში მოხვდა ორი დაშნაკელი?

— ამ ორ საზოგადო მოღვაწეთა სახელები მე არაფერს მეუბნებიან თავის თავად. მე ვფიქრობ, რომ ისინი ორივენი რეალური პოლიტიკის წარმომადგენელნი არიან, რომელთაც კარგად გაიგეს რომ საბჭოთა რუსეთს არ აინტერესებს სომხეთის ტერიტორიულად შეძენა. ცხადია რუსეთისათვის სომხეთი დღეს მხოლოდ მძიმე ტვირთია, რომელსაც უნდა ჩაცმა დახურვა, გათბობა და წამლობა.

ვფიქრობ, დაშნაკელები, რომელნიც შევიდნენ საბჭოთა სომხეთის მთავრობაში, დარწმუნდენ, რომ დიდი სომხეთის შექმნა, რომელიც გადაჭიმულ იქნება ზღვიდან ზღვამდე,—ცარიელი და უნიადაგო ოცნებაა.

სომხეთის დამოუკიდებლობას არავინ შეეხება მაგრამ მას შეუძლია არსებობა მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული კავშირით.

სომხეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება და საბჭოთა რუსეთი.

როგორ მიმდინარეობს დღეს სომხეთ ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება? რამდენად მართალია, თითქოს ოსმალთა სარდლობას არ მიეღოს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ბუდუ მდივანი?

— ერევანში მომხდარ ბოლშევიკური გადატრიალების გამო სომხეთის წინანდელ მთავრობასთან დაწყებული საზავო მოლაპარაკება სომხეთ-ოსმალეთის შორის შესწყდა. ამ დღეებში დაიწყება საბჭოთა სომხეთთან ახალი მოლაპარაკება. ბუდუ მდივანის მიუღებლობის შესახებ გავრცელებული ხმები მართალი არ არის.

— რამდენად შეიცვლება ოსმალთა მოთხოვნილება საბჭოთა სომხეთთან მოლაპარაკების დროს?

— ოსმალთა ახალ საზავო პირობებს მე არ ვიცნობ, მაგრამ იგი უთუოდ შეცვლილი და უფრო მისაღები იქნება სომხეთის წინანდელ მთავრობისადმი წარდგენილ საზავო პირობებთან შედარებით.

— თქვენი აზრით როგორ გადაწყდება სომხეთ ოსმალეთის საზღვრების საკითხი? მაგალითად ყარსის შესახებ რა შეგიძლიათ სთქვათ? შეიძლება თუ არა მის გარშემო რაიმე ახალი უთანხმოება წამოიჭრას?..

— არა მგონია. უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ საბჭოთა სომხეთის შექმნის შემდეგ სომხეთთან სადავო საზღვრების განხილვისას, სამხედრო სტრატეგიული მოსაზრებანი მხედველობაში არ იქნება მიღებული. რაც შეეხება ყარსს, ეს საკითხი გადაიჭრება ეთნიური პრინციპის საფუძველზე.

ლონდონი. „ნიუ-იორკი" სწერს: „რუსეთის ბოლშევიზმმა წააგო რა ომი დასავლეთ ფრონტზე გაქანა მცირე წინააღმდეგობის ხაზით და ახლო აღმოსავლეთს მიაშურა. სომხეთი უძლური აღმოჩნდა გაეწია წინააღმდეგობა საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთისათვის და ამიტომ მან (სომხეთმა) უნდა მიიღოს პოლიტიკური მმართველობის იგივე ფორმა რაც რუსეთში არსებობს ამასთანავე რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესებს შორის შეტაკება უნდა მოხდეს აუცილებლად. საბჭოთა პრესა ბედი, რომელიც არის ნაწილი დამოუკიდებელ საქართველოსი, და რომელიც ოსმალეთის პრეტენზიების ობიექტს შეადგენს. (ს. დ. ს.)

უცხოეთი

ვრანგელი არ სცხრება.

ლონდონი. პრესა იუწყება: გენერ. ვრანგელმა მიმართა წინადადებით გენ. ტოუნსხენდის ჯუმელ ამარის დამცველს, მიიღოს თავის თავზე რუსეთის ჯარის სარდლობაო. „ტანი" გადმოგვცემს, რომ ტოუნსხენდი ვრანგელს ალბად უარს ეტყვისო.

სევრის ხელშეკრულების გადასინჯვა.

პარიზი. „ინფარმაციონი" იუწყება: ამ დღეებში შესდგება მოკავშირეთა თათბირი ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულების გადათვალიერების საკითხის განსახილველად. ფიქრობენ საზავო ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარებას.

როგორია ცხოვრება ვარშავაში?

გარეგნულად თითქოს არა შეცვლილა რა. რესტორანები, ქუჩები, კაფეები და თეატრები ხავსეა მორთულ მოკაზმული ხალხით. მაგრამ თუ დაუკვირდებით ვარშავის ცხოვრებას დაინახავთ, რომ ყველგან და ყველაფერში დიდი გაჭირვება და კრიზისია. პოლონეთის ვალიუტის დაცემის გამო უცნაური ამბები ხდება. ალარავინ არაფერს არ ყიდულობს, გეგონებათ მყიდველები გაფიცულანო- სიძვირე დღითი დღე ძლიერდება. აი მაგალითებიც: გირვანქა ერბო ღირს 90 მარკა (მარკა 10 მანეთია ქართულ ფულზე) გირვანქა ბრინჯი 80 მარკა, ტელეფონი 4000 მარკა წელიწადში, ეტლი 80 მარკა და სხვა. უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ფასებმა ერთი სამად აიწიეს და საკვირველი არ არის რომ 20 მარკაზე ნაკლებ ვერას იყიდით.

ამ ჟამად (ენკენისთვე) ვარშავაში დიდი ეროვნული აღფრთოვანებაა. ყოველ დღე იმართება პატრიოტული მანიფესტაციები. ბევრი ქალი შევიდა სამხედრო სამსახურში.

სიხარულით აწერენ ხელს სამხედრო სესხსაც. მთელი პოლონეთი ფეხზე სდგას სამშობლოს დასაცავად. (ფრ. ჟ.)

სევრის ხელშეკრულება

გ ზ. „ზაიფორი" სწერს: „ამ რამოდენიმე დღის წინათ ერთმა ფრანგმა სტამბოლის ცნობილ მოღვაწეებს შემდეგი განუცხადა: „საფრანგეთს მთელი თავის არსებით ეზიზღება ბოლშევიზმი და მას არასოდეს არ შეუძლია ისეთ ხალხთან კავშირის დაკავება, ვინც ბოლშევიზმს თანაუგრძნობს".

ეს სიტყვები ჩვენ გვითხრა ჩვენმა კეთილის მსურველებმა და ოსმალებმა, რომლებსაც ის მიმართავს კარგად იციან, რომ ამის მთქმელი მართალია. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ სტამბოლიდან ძნელია ქემალის ბანდებისათვის ამის შესმენა, რომლებიც ბატონობენ ანგორაში და მათი დროშა ფრიალებს კავკასიიდან კილიკიამდე. ანგორაში გამოდის მშვენიერი დეკლარაციები, რომლებიც პირდება ხალხს ბედნიერებას.

ანტანტას არ სურს არავითარი ანგარიში არ გაუწიოს იმას, რაც დღეს ხდება კავკასიაში, რაზედაც მას აქვს თავისი მოსაზრებანი. ამას შეუძლია გამოიყვანოს ანტანტა მოთმინებიდან და ის მიმართავს მაშინ ისეთ მკაცრ ზომებს, რომლებიც აიძულებს მათ პატივი სცენ ანტანტის ძლევა მოსილებას.

რამდენიმე ხნის უკან დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება ანატოლიასთან, ამ მოლაპარაკებამ ჩვენ დაგვიმტკიცა, რომ შეუძლებელია ანგორასთან მუდმივი ზავის ჩამოგდება. არავითარ შემთხვევაში არ თანხმდება ის სევრის ხელშეკრულების მიღებას. ამიტომ ყოველივე მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდება.

ჩვენს წინ დგას ორი დილემა; ან გადავხედოთ სევრის ხელშეკრულებას და ან მივიღოთ ზომები მისი ცხოვრებაში გასატარებლად.

სევრის ხელშეკრულობის გადახედვაზე ანტანტის ლაპარაკიც არ სურს. ასეთი აზრი მათ კიდეც რომ მოსვლოდათ, ეს შეუძლებელიც იქნებოდა. ხელშეკრულობა ხელმოწერილია კოლექტიურათ და მისი ასრულება ყველა ხელის მომწერლებისათვის სავალდებულოა. მოკავშირეების გადაწყვეტილება მართალიც რომ არ იყოს ღირსების და პრესტიჟის გრძნობა მათ ნებას არ მისცემს სევრის ხელშეკრულობის გადახედვისას."

დეპეშები.

ს. დ. ს. ს. გაზ. ცნობები.

საათის წარმოება.

ჟენევა. შვეიცარიის პრესა გადმოგვცემს, რომ მრავალი ემიგრანტი მუშა მიემგზავრება შეერთებულ შტატებში. ემიგრანტებში მრავალი საათის ხელოსანი იმყოფება, რის გამოც ამ ახლო ხანში ამერიკაში მეტად გაძლიერდება

ერთა ლიგაში.

პარიზი. ვენეცუელისა და კუბის მთავრობებმა გადასწყვიტეს ერთა ლიგის საერთო ყრილობაზე გააგზავნონ თავისი წარმომადგენელი იმ მიზნით, რომ ზემოაღნიშნული რესპუბლიკანი მიიღონ ერთა ლიგაში.

სიძვირე გერმანიაში.

ბერლინი. ბერლინის პრესა იუწყება: რესტორანებში გამეფებულ მეტის მეტ სიძვირის გამო საზოგადოება საღამოებს ატარებს თეატრებში და წარმოდგენის დროს განუწყვეტლივ საჭმელს მიირთმევს. ვაგნერის შესრულების დროს თეატრში ისმის ქაღალდის შრიალი: საზოგადოებას ხელში უჭირავს კარტოფილი, ძეხვები და სხვა.

საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სტამბოლში.

სტამბოლი. საფრანგეთის უმაღლეს კომისრად სტამბოლში დაინიშნა ამირბარი ბონსი დეფრანსის მაგიერ.

ბრიტანეთი და რუსეთი.

პარიზი. „ტანი" აქვეყნებს ლონდონიდან მოსულ დეპეშას, სადაც აღნიშნულია, რომ ბრიტანეთის მთავრობისადმი მიმართული მოსკოვის საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი ნოტა მეტად მკაცრი კილოთი არის შედგენილი. საბჭოთა მთავრობა ბრალსა სდებს ინგლისს იმაში, რომ იგი ეწინააღმდეგება რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულების აღდგენის საკითხს და, რომ იგი აგრესიულ გეგმებს ადგენს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ნოტის კილოს დიპლომატიურ წრეებში მეტის მეტად თავხედურათ სთვლიან და ამას ხსნიან იმ მოსაზრებით, რომ მოსკოვს სურს მოლაპარაკება შესწყვიტოს ინგლისის მთავრობასთანაც. „ტაიმსი" შესაძლებელად მიაჩნია, რომ ლენინი განგებ აკავებს რუსეთში მყოფ ინგლისელ ტყვეებს.

ამ ნოტის გამო „დეილი მირორი" სწერს: ინგლისის მთავრობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აქეზებს სპარსეთსა და სხვა სახელმწიფოებსო.

ლონდონი. რობერტ ხორნმა ოკსფორდში წარმოთქმულ სიტყვაში რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ სთქვა: ინგლისმა უნდა მიიღოს ზომები რუსეთის ფეხზე დასაყენებლად. ევროპამ უნდა გაუხსნას გზა რუსეთის ნაწარმოებს, უამისოდ ევროპა ვერ აიცილებს სასურსათო კრიზისს და, მაშასადამე, ვერც მუშების უკმაყოფილებას.

გერმანია და ერთა ლიგა.

ლონდონი. რობერტ სესილმა ერთა ლიგაში სხვა და სხვა სახელმწიფოთა მიღების შესახებ სთქვა: ეს საკითხი ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხს. სესილმა განაცხადა: რომ გერმანია უნდა იქნეს მიღებული ლიგაში იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ მასთან სრულ ნდობაზე დამყარებულ დამოკიდებულების აღდგენას.

რუსეთის ცნობები.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 6 | 12. მდგომარეობა ფრონტებზე უცვლელია.—საბჭოთა რუსეთის მშრომელმა ხალხმა დაამარცხა უკანასკნელი მტერი ბალახოვიჩი. ფრონტებზე სიმშვიდეა. მართალია ჩვენ უნდა ვიდგეთ კვლავ სადარაჯოებზე, ვინაიდან გარს შემორტყმული ვართ ბურჟუაზიული ქვეყნებით, მაგრამ დასვენების დრო მაინც მოგვეცა. დასავლეთის ქვეყნები ემზადებიან საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების აღსადგენათ. ინგლისსა და ამერიკას წაბაძეს სხვა ქვეყნებმაც. იტალიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დამოკიდებულება მოკლე ხანში განახლდება. პოლონეთი, ლატვია და ფინეთი ადგენენ კომისიებს, რომლებმაც დაუყონებლივ უნდა მოაწესრიგონ საკითხი საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა. გერმანიაში დაარსდა საგანგებო საზოგადოება, რომლის მიზანსაც შეადგენს რუსეთსა და გერმანიის შორის სავაჭრო დამოკიდებულების გაადვილება. საქონლის გაცვლა-გამოცვლას დასავლეთ ევროპასთან მაშინ შეუძლია მოუტანოს საბჭოთა რუსეთს დადებითი შედეგები, თუ რუსეთში აღსდგება მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შემოვჭამთ სავაჭრო ფონდს და საზღვარგარ. გასატანთ არაფერი არ დაგვრჩება.

მახნო დამარცხდა.

ხარკოვის საქალაქო საბჭოს სხდომაზე უკრაინის სახალხო კომისართა თავმჯდომარე რაკოვსკიმ გააკეთა მოხსენება მახნოს წინააღმდეგ. ჩვენ შევძელით შემოვრტყმოდით გარშემო მახნოს ყირიმის ჯგუფის ნაწილებს. ბანდიტების ლიკვიდაცია სრულდება. სრულიად განადგურებულია მახნოს გულიაიპოლეს ჯგუფი. რამოდენიმე ასეული თვით მახნოს მეთაურობით მიიმალა. ამ ბანდიტების ჯგუფის ლიკვიდაციაც მალე მოხდება.

პეტლიურას ბედი.

პოლონეთის მთავრობამ პეტლიურა და მისი მთავრობის წევრები სამოქალაქო ტყვეებათ გამოაცხადა.

ვრანგელის წინადადება.

ვრანგელმა ანტანტას საფრანგეთის მთავ

მოლაპარაკოს [illegible] მთავრო
ბას იმის შესახებ, [illegible] რო
მელიც 70,000 კაცისაგან შესდგება ი
ნეს გამოყენებული მოკავშირეთა მიერ
—თეთრ გვარდიელთა ლიკვიდაცია შ
რეულ აღმოსავლეთში მოხდა. ატამ
სემიონოვი იაპონიაში გაემგზავრა.

რიგი გერმანიის პროლეტარია ტზე.

ბერლინში გაიხსნა ყრილობა გერმა
ნიის კომუნისტებისა და მემარცხე
დამოუკიდებელთა. კლარა ცეტკინამ,
მელიც მოსკოვიდან დაბრუნდა, თა
მისალმებაში განაცხადა, რომ რუსე
პროლეტარიატმა შეასრულა თავის
ლი, რიგი გერმანიის პროლეტარია
ზეაო.

რკ. გზათა გაფიცვა ნორ გიაში.

ნორვეგიის რკ. გზელთა გაფი
გრძელდება- მის მხარეზეა სიმპატია მ
ლი ნორვეგიის პროლეტარიატისა.
ქრისტიანიაში მოხდა დემონსტრაც
რომელშიაც 20,000 მუშა იღებდა
მონაწილეობას.

ლიონის ცოზეგ

კონფერენცია ლონდონში.

ლონდონში იქლახან დას
კონფერენციამ საგრძნობი შედეგი
ტანა. საკამათო იყო რიგი დ
დიდ სახელმწიფოთა შორის და
საკუთრებით ინგლისსა და საფრან
შორის შემდგარიყო სრული შეთან
იმ ზომების შესახებ, რომელიც
მიიღოს ანტანტამ წინააღმდეგ ს
ძნეთში შექმნილ ახალ მდგომარეო
ძნელი იყო ასეთ შედეგების მ
მოლაპარაკების დაწყებისას. საფრა
თის მხრით აშკარათ იყო გამოთქ
სურვილი, რომ იგი მეფე კონსტან
წინა აღმდეგ მტრულ პოზიციას და
ვებსო.

ინგლისურ წრეებში თანახმად ინ
სურ პრესისა არა თუ არ გამოს
დენ წინა აღმდეგობას კონსტანტინე
ხტზე დაბრუნებისადმი, არამედ ი
იმ აზრს, რომ კონსტანტინეს დაბ
ბა არის გარანტია აღმოსავლეთში
დობრანობის დასამყარებლადო. მ
და ვ ანებით ლოიდ ჯორჯი ჩვენება მოკ
ემა, რომ საჭიროა ამ შემთხ
ზოგიერთ გარანტიების მიღება.
მდგომარეობაში იყო საკითხი მო
ლაკების დაწყების, რომელიც და
და სამი მკაცრი ზომის მიღებით:
ბული იქნა განცხადება, რომ მო
რეები წინააღმდეგნი არიან კონს
ნეს დაბრუნებისა, რომ მოკავში
არ სცნობენ 200 მილიონის დ
რომლითაც მთავრობის მიერ გამო
მაშინ როდესაც მას (ალის) ა
და მოკავშირეთა თანხმობა, რა
დარღვევა საბერძნეთის კანონებ
1897, 1918 წლების ხელშეკრუ
სა. დასავლეთ საფრანგეთი და ი
სწყვეტს ფინანსიურ დახმარებას,
ლსაც აძლევენ საბერძნეთს
კონსტანტინეს ტახტზე დაბრუ
გარდა ამისა ანტანტამ მიიღო გ
ტილება, რომ საჭიროა ზომების
აღმოსავლეთში მშვიდობიანობის
ყარებლად. ამ გადაწყვეტილება
კუთრებულ მნიშვნელობას აძლ
ნაიდან იგი აძლევს მოქმედების
სუფლებას მოკავშირეებს სევრის ხ
კრულების მიმართ. ზოგიერთი
ზომა მოკავშირეებმა უკვე გ
და მათ შესახებ მოკავშირეებს
ფაქტიურად სრული თანხმობა
ვარდა, როგორც ინგლისის ფ
წრეებში ფიქრობენ, რომ კონფ
სასურველად ჩატარდა. შ
ვთქვათ, რომ საფრანგეთის და
სის შორის უკანასკნელ კვირის
ლოზამ მეგობრული დამოკიდ
უფრო განამტკიცა.

კონფლიქტი ფიუმეში

იტალიის დეპუტატების ჯგუფ
გაგზავნა ფიუმეში კონფლიქტის მო
გვარებლად. იტალიის პრესა იმედ
თქვამს, რომ კონფლიქტი მალე
ბული იქნება თავიდანო.

ერთა ლიგაში.

არგენტინის დელეგაციის თ
პარემ შაბათს ერთა ლიგის ყ
ლომიდამ რეს გადასცა წერილ
მელშიაც იგი აცხადებს, რომ
ნის დელეგაცია უარს ამბობს
ის კრებაში მონაწილეობის მი
ასეთ გადაწყვეტილებას
ასაბუთებს მით, რომ ლიგამ უა
ყო შესწორებები, რომლე
ტანა არგენტინის დელეგაციამ.

სფორცა პარიზში.

მინისტრთა საბჭოს თავმ
ბერტელოს თანხლებით დახ
იზში კვირას. გრაფი სფორ
უბრძოდა იმავე მატარებელში.
მას პარიზში მყოფი იტალ
გება.

კეინსის მოსაზრებანი

ანგლო-ბრიტანე მარილის საგ
ლატის მთავარი დირექტორი
ში არსებულ პოლიტიკურ მე
სკოლის პროფესორი „ტაიმს
ლებზე გამოაქვს წერილებს
ბების წინააღმდეგ, რომლე
ჯეინსის წიგნი „ომის ეკონ
ეგი" არჩევს უარყოფ
მწერლის მოსაზრებ თითქ
გეთი ამ ტ ზეეს იმ მატერ

ბიბლიოგრაფია

იოსებ მჭედლიშვილის საბავშვო ნაწერები.

ამას წინად გაზეთებში იყო გამოქვეყნებული, რომ ნოე სიხარულიძეს გადუწყვეტია თავის ტრაგიკულად დაღუპულ შვილის ავთანდილის ხსოვნის აღსანიშნავად გამოსცეს იოსებ მჭედლიშვილის ნაწერები.

მე არ შევეხები იოსებ მჭედლიშვილის ნაწარმოებთა დაფასებას, ამას უნდა განსაკუთრებული დრო და იოსებ მჭედლიშვილის ნაწარმოებთა თავმოყრა. მე დავაფასებ მჭედლიშვილს მხოლოდ როგორც საბავშვო მოთხრობების ავტორს.

წიგნაკში დაიბეჭდა ი. მჭედლიშვილის რამდენიმე მოთხრობა და პოემა. ამ ნაწერებში მკითხველის ყურადღებას იპყრობენ შემდეგნი: აჯანყებული კიკო, „ომი გერმანელებთან", მწყემსის წერილები, გამოქვეყნულები, პატარა ქაზიმა, პატარა დაიკო მარია, ბავშვები, თქმულება სალამურზედ და სხვ. მე მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ზოგიერთ მოთხრობაზედ.

მწყემსის წერილები, თუ არ ვცდები, პირველი ცდა იყო მჭედლიშვილისა, საბავშვო ენით და ბავშვთათვის გასაგებ თემაზედ დაეწერა მოთხრობა. აქ, მართლაც, მჭედლიშვილი მშვენიერის ენით მოგვითხრობს ბავშვების ბანაკის მწყემსთა ცხოვრებას, მათ ჭირ-ვარამს, მათ ჩვეულება ადათს. ეს წერილები ისე საინტერესონი არიან, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა კიდეც ცალკე წიგნად.

მოთხრობა „აჯანყებული კიკო" და „ომი გერმანელებთან" დაწერილნი არიან ამ უკანასკნელ წლებში. ამ მოთხრობებში გამოხატულია ის, თუ როგორ გადატყდნენ ბავშვების გონებაში უკანასკნელი ამბები. სოფლის ბავშვებმა ჯინჯიანი ძველი ჩასთვალეს გერმანელებად, თავიანთ თავი კი იმათ მტრად, გამოუცხადეს „გერმანელებს" ომი, ამოირჩიეს თავიანთ სარდალი და შეესივნენ ჭინჭარს, ბევრი ჭინჭარი, უკაცრავად, გერმანელები ამოწყვიტეს, მაგრამ არც თუ ჭინჭარმა დააყენა მათ კარგი დღე, ბევრი მათგანი დაისუსხა და ჩხავილით გაიქცა სახლისკენ.

აჯანყებულ კიკოს აჰყავს სოფელ პროპაგანდისტთა ზეგავლენა. კიკოს ყინბაზში არ უშვებენ, რადგანაც ყურძენი ახლადაა შემოსული, ქალიშვილებიც დაკრეფილები ჰყავთ, რომ ყურძენი არა ჰქონდეთ. კიკოს ერთხელ ძალიან გაჯავრებს, ის გაღებს საქათმის კარებს, მიმართავს სიტყვით ამხანაგ კათმებს, აუხსნის მათ „მიმინოს" მნიშვნელობას, გამოუშვებს მათ საქათმიდან და ერთი კი მოჰკურცხლავს. ეს მოთხრობები ეკუთვნიან იმ დროს, როცა ჯერ საქართველო თავისუფალი არ იყო. მჭედლიშვილს რამდენიმე მოთხრობა აქვს საქართველოს განთავისუფლების ხანიდანაც. ამ მოთხრობებში უპირველესი ადგილი უჭირავთ: პატარა ქაზიმა, დაიკო მარია. ამ მოთხრობებში დიდის პატრიოტულის აღფრთოვანებით გამოყვანილია ქართული ჯარი რომელიც მტერს მტრობს და მოყვარეს მოყვარეობს. მოთხრობა „პატარა ქაზიმა" ეკუთვნის აზერბეიჯანთან ომის დროს. ქართულ ჯარის მოახლოვების გამო თათრის სოფლიდან მცხოვრებლები სულ გაიქცნენ. მათ ეგონათ, რომ ქართველები მათ ამოჟლეტავდნენ, გაქცეულებმა თან წაიღეს საქონელიც. გაქცეულებში იყო პატარა ქაზიმაც, რომელიც ავად გახდა და სიარული აღარ შეეძლო. ქაზიმას დედმამა იძულებული იყო შეჩერებულიყვნენ სოფლის ახლოს ქაზიმას მამა წავიდა, რათა სოფელი დაეხედნა, და უცაბედათ შეეჯახა ქართველ ჯარის კაცებს, რომლებმაც იგი კარგად მიიღეს, არამც თუ არ მოჰკლეს, არამედ ასწავლეს კიდეც გზა, სად უნდა წაეყვანა თავისი ავადმყოფი შვილი. მართლაც პატარა ქაზიმა მამამ ჩამოიყვანა წითელი ჯვრის საავადმყოფოში, საცა იგი მოარჩინეს. ქაზიმას ოჯახი დაბრუნდა სოფელში. ამის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს და მთელი სოფელი უკანვე დაბრუნდა.

„პატარა დაიკო მარიამ"-ში მოთხრობილია აჭარის შემოერთებაზედ. ქართული ჯარი მიდიოდა აჭარისაკენ, და საზღვართან გაჩერდა. აქ ისინი მიიპატიჟა თავის ეზოში ერთმა გლეხმა, საცა ჯარიც დაბანაკდა. გლეხის პატარა ქალი მარიამი, შველოდა რითაც კი შეეძლო ჯარის კაცებს, აბანინებდა ხელებს ჭურჭელს და ტანისამოსს. ჯარის კაცებმა ძალიან შეიყვარეს პატარა გოგო. მალე მარიამი ავად გახდა და ეს ჯარის კაცებს ძალიანა სწყინდათ. ყველას უნდოდა მარიამის ნახვა, და მალე მარიამის სახლის წინ გაჩნდა მარიამის ნახვის მსურველთა გრძელი რიგი. დაიკო მარიამი მალე მორჩა, და ჯარიც მალე წავიდა მათი ეზოდან, დაიკო მარიამს მთელი ჯარი, როგორც ერთი კაცი, დიდის მადლობით გამოეთხოვა.

ეს მოთხრობები დაწერილნი არიან მარტივი ენით, და საინტერესონი არიან არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ ჯარის კაცთათვისაც, რომლებზედაც მოახდინენ დიდ ზნეობრივ გავლენას.

პოემებში მე მკითხველის ყურადღებას მივაქცევ პოემა ბავშვებს, პოემაში გამოყვანილია ორი მათხოვარი ბავშვი რომლებიც თავს ირჩენენ დაირის და ჭიანურის დაკვრით. გზის ძალიან ეცოდებიან ამ ხაირი ბავშვები და შველიან მათ, მაგრამ ამ ბავშვებს კი მეგზოვრე გარეკავს, რაც გოგის სასოწარკვეთილებაში აგდებს. პოემის დიდი აზრი ნათლად გამოსჭვივის: ბავშვებს, დღეს ერთ რითაც რითაც კი შეგვიძლიან, უდედმამო, საწყალ მათხოვარ ბავშვებს.

მოყვანილ მოკლე შინაარსიდანაც ჩანს, რომ თუ ი. მჭედლიშვილის გამოცემა მართლა აისრულდა, საბავშვო ისე ღარიბ ლიტერატურას შემატებს თვალსაჩინო განძს.

მასწავლებელი.

საავადმყოფო კასათა კონფერენცია.

დეკემბრის 5 გაიხსნა საქართველოს კასათა კონფერენცია, კონფერენციას დაესწრენ: თფილისის, ბათომის, ფოთის, სოხუმის, ქუთაისის, სენაკის, ჭიათურის და ტყვიბულის საავადმყოფო კასათა წარმომადგენლები. კონფერენციამ აირჩია, პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ბადრიძე თავმჯდომარის ამხანაგებათ თელია და კვაჭაძე. კონფერენციის მუშაობის გახსნის წინ დაადგინეს: გაუგზავნონ მისასალმებელი დეპეშები კაუცკის, დამფუძნებელ კრებას, მთავრობას სახალხო გვარდიის და პროფ. კავშირთა საერთაშორისო ყრილობას ამსტერდამში. დეპეშების შედგენა მიენდო პრეზიდიუმს.

მისასალმებელი დეპეშების მოსმენის შემდეგ კონფერენცია შეუდგა ორგანიზაციო კომისიის მოსმენას. კონფერენციამ დაამტკიცა დღიური წესრიგი, რომელშიაც შემდეგი საკითხები შედიან: 1) მოხსენება ადგილებიდან, 2) კანონი მუშების დაზღვევის შესახებ და საავადმყოფო კასათა უახლოესი მიზნები. 3) დაზღვევა დედობისა, სიბერისა, სიქვრივისა, სიობლისა, უმუშევრობისა. 4) სოციალური დაზღვევა და კანონმდებლობა შრომის დაცვის შესახებ. 5) ორგანიზაციული საკითხები და სხვა. დასასრულ დაიწყო მოხსენებანი ადგილებიდან.

მორიგ სხდომაზე მოისმინეს ადგილებიდან მოხსენებები. თფილისის კასის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თფილისის საერთო კასაში შედის 240 წარმოება, წევრთა რიცხვი 5000. საწარმოო კაპიტალი 11 თვის განმავლობაში 8 მილიონი მან. იყო. დახარჯულია 7 მილიონი. დახმარებათ ეძლევათ ხელფასის 3|4 ამ დღეებში იხსნება ამბულატორია კასის მონაწილეთათვის და იმ მუშათათვის, რომელთაც საექიმო დახმარება არ ეძლევათ დაწესებულებებში. თფილისის ტრამვაის საავადმყოფო კასაში, რომლის წევრები 1200 ია, დახმარება ეძლევა ხელფასის ნაწილს 3|4 დან 11|2 მდის. მიმდინარე წელში დახარჯულია 1|2 მილიონი მანეთი. დახმარების მისაცემად გადადებულია 1|2 მილიონი მან.

ბათომში საავადმყოფო კასა დაარსდა. წევრთა რიცხვი 700. დახმარება ეძლევათ სამუშაო ქირის ნახევრიდან 2|3 მდე. ტყიბულის კასაში ირიცხება 1500 წევრი. დახმარება ეძლევათ სამუშაო ხელფასის თანა რად. წევრებს დახმარებას აძლევენ სტიქიური უბედურობის დროსაც. 1920 წ. კასაში შემოვიდა 1 მილ. მან. ფოთის კასაში ირიცხება 694 წევრი, სოხუმისაში 700, ქუთაისისაში 300. ჭიათურაში საავადმყოფო კასა არ არსებობს. საექიმო დახმარებას უწევს შავი ქვის სამრეწველო ყრილობის საბჭო დახმარებას აძლევენ სამუშაო ხელფასის ნახევარს. ინვალიდობის დროს იგივე ყრილობის საბჭო აძლევს პენსიას. სენაკში კასა ორი წელია რაც არსებობს. დახმარებას აძლევს სამუშაო ხელფასის 1|2 დან 3|4მდე. ბორჯომში არსებობს კასა სახელმწიფო ქონების და ბორჯომის მიწის ქარხნების მუშებისა.

სენატში.

1. საქმე მიხეილ კოდალოვის ზაქარია რობლინთან 25000 მან. თაობაზე
2. საქმე პავლე პანკრატოვის იაკობ რიჟკოვთან 3610 მან. 35 კაპ. თაობაზე.
3. საქმე ისაია შავგულიძის ნიკიფორე სირაძესთან და ივანე გიორგაძესთან ადგილის თაობაზე.
4. საქმე სალომე ბჟალავასი გვაზავას ასულის გარდაცვალებულ გერასიმე ბჟალავას ქონებით სარგებლობის და მოურავის დანიშვნის თაობაზე.
5. საქმე ივანე ჭერაძის ყარამან გორდელაძესთან 2,275 მან. თაობაზე.
6. საქმე პეტუია სარაიასი გიგო, კინტირია, სამსონ, ივანე, ლუკა, ძიკო და სერნა სარიებთან ადგილის თაობაზე.
7. საქმე გარსევან კურდღელაშვილის ნიკოლოზ და ნინო თვარილაშვილებთან მამულის თაობაზე.
8. საქმე მაქსიმე ბურჯანაძის ბიჭია აბრაბაძესთან წისქვილის თაობაზე.

ქრონიკა.

სამინისტროებში.

— იუსტიციის სამინისტრომ დაამუშავა პროექტი კანონისა სასამართლოს

პროექტთან თანდართულია ვრცელი განმარტებითი ბარათი. იუსტიციის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ეს პროექტი

დებულების დამატება. პროექტის დადასტურების შემდეგ იუსტიციის სამინისტრო ფიქრობს მის ცხოვრებაში გატარებას 1921 წ. იანვრის პირველიდან.

— კანონთა გადამსინჯავმა კომისიამ იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით მიიღო კანონ-პროექტი მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. კანონ პროექტის მეორე მუხლი აღნიშნავს, რომ მოსამსახურე იმ დანაშაულისათვის, რომელმაც თავისი მოქმედებით გამგებლობის წესის ან სახელმწიფოს და სახაზინო ინტერესებს ზიანი მიაყენა, იქნება დატუსაღებული, იმ შეთავსების გაგრძელებით, თუ მოსამსახურე ავათ არის იმდენად რომ თავისუფლების დაკარგვა გლახათ იმოქმედებს მის ჯანმრთელობაზე. პროექტში ჩამოთვლილია ვრცლად სასჯელთა ნორმები მოსამსახურეთა სხვა და სხვა დანაშაულის შესახებ.

— მომარაგების სამინისტრომ მიწად მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებას შეუკვეთა 100.000 შპალის დამზადება საზღვარ გარედ გასატანად სატყეო საბჭომ დეკემბრის პირველ სხდომაზე დაადგინა მიიღოს ეს წინადადება და დაამზადოს შპალები შორაპნის, ფარცხნალისა და ვიხანის სატყეო აგარაკებში. აღნიშნულ შპალების დამზადება განზრახულია შორაპნის სამაზრო ერობისა და ადგილობრივ ტყის მრეწველთა საშვალებით.

— დუშეთის სამაზრო ერობამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ზოგიერთ კერძო მამულების სამაზრო თემების განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

— სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ახალი ხარჯთაღრიცხვისა ბათომისა და ბათომის ოლქის სასწავლო დაწესებულებათათვის. პროექტი დასამტკიცებლად მთავრობას გადაეცა.

— სახალხო განათლების სამინისტრო შევიდა მთავრობაში წინადადებით სახელმწიფო კინო ატელიეს მოქმედების გასაფართოვებლად საჭირო თანხის გაღების შესახებ. სამინისტროს წინადადებით სახელმწიფო კინო წარმოება მოქმედების პირველ წელშივე არა ნაკლებ 55 მილ. მან. მოგებას მოიტანს განზრახულია სულ 55 სეანსის გადაღება.

— ერობათა კავშირის კომიტეტის შეკითხვაზე შრომის სამინისტრომ შემდეგი განმარტება გააკეთა: მობილიზაციის წესით გაწვეულთა ადგილზე დროებით მოწვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს არ შეუძლიათ მიიღონ პური მუშათა მაგიდიდან. პურის მაგივრათ წარმოებათა პატრონმა დროებით დაქირავებულ მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა მისცენ ჯილდოთ ჯამაგირის 25 პროც.

— წყალთა სამმართველოს შეკითხვაზე შრომის სამინისტრომ განმარტა: ერთ და იმავე მოსამსახურეს არ შეუძლია ერთ და იმავე დროს ორი შტატის ადგილის დაკავება. 1) პროცენტული მომატება და ერთდროული დახმარებას მოსამსახურე ერთ ადგილზე უნდა იღებდეს 2) საპენსიო კასაში შესატანად ფული უნდა დაუკავდეს იმ ადგილზე, სადაც მოსამსახურეს შტატის ადგილი უკავია.

— შრომის მინისტრის ამხანაგის ა. ბახტაძის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ადმინისტრატიულ ტეხნიკურ და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა პერსონალისათვის პრემიალურ ჯილდოს შემოღების საკითხის განსახილველად აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, რომლის დროსაც გამოირკვა, რომ პრემიალურ სისტემის რაციონალური მეთოდით ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარება შეუძლებელია, თათბირმა დაადგინა: გზათა უწყებისა და სახელმწიფო წარმოებათა სატეხნიკო და საადმინისტრაციო დაწესებულებებშიც და კანტორის მოსამსახურეთათვის დროებით შემოიღოს პრემიალური სისტემა თათბირი დაჯილდოების მიღებულ მეთოდს არა სთვლის უნაკლულოთ და ამიტომ იგი წინადადებას აძლევს სათანადო სახაზინო წარმოებათ რომ ისინი შეუდგენ დაჯილდოების უფრო რაციონალურ პროექტთა შემუშავებას. ეს პროექტები დამყარებული უნდა იყოს წარმოებათა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე და ეკონომიის გაძლიერებაზე.

სხვა და სხვა.

— საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში, ხუთშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ეროვნულ (ყოფ. ფრეილინსკ) ქ., № 11, შესდგება ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც გაიმართება ბაასი ტეხნიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

— პარასკევს, 10 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე იქვე გაიმართება კომისიის სხდომა საულტეხნილო რკინის გზის—ბესლან-ქუთაისი კომპიტარის გეგმარის განსახილველად.

სხვად სხვა კავშირი.

კავშირები არიან: პოლიტიკურნი, ეკონომიურნი და კულტურულნი.

კარლ მარქსმა სთქვა: ყოველივე პოლიტიკური იმავე დროს ეკონომიურიც არისო.

ეს—მართალია. მაგრამ ყოველივე ეკონომიური—არ არის აუცილებლად პოლიტიკური.

მშრომელნი უკავშირდებიან ერთმანეთს [illegible] ეკონომიური მიზნისათვის, რომელსაც პირდაპირი პოლიტიკური დანიშნულება არ აქვს.

ეკონომიური მატერიალისტები ამბობენ: ყოველ სოციალურ კლასს აქვს საკუთარი პოლიტიკა: მესაკუთრეებს თავისი, დაქირავებულ მუშებს თავისი და სხ.

მართალია და სწორეთ აქედან გამომდინარეობს დასკვნა: დაქირავებულ მუშათა ერთს დარგს ვერ ექნება საკუთარი პოლიტიკა, რადგანაც ვერ დაუპირდაპირდება, როგორც კლასსი, მუშათა სხვა დარგებს.

მაშასადამე, დაქირავებულ მუშათა ყველა დარგი გაერთიანებული უნდა იყოს ერთს სოციალურ-ეკონომიურ კავშირად.

აგრეთვე გაერთიანებული უნდა იყვნენ ერთს სოციალურ-ეკონომიურ კავშირში მესაკუთრე მიწისმოქმედნი, მესაკუთრე ხელოსნები და ვაჭარ-მრეწველები.

ეს ორი მოპირდაპირე კლასი ჰქმნის ორს დიდ სოციალურ მიმდინარეობას, რომელსაც ერთვიან სხვა პატარა ჯგუფები.

მაგრამ ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრება მარტო კლასთა ბრძოლით არ ამოიწურება: ყველა კლასს ერთად აქვს საერთო, ეროვნული ინტერესები. და ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელნიც ამ საერთო ფუნქციებს ასრულებენ, შინაური ბრძოლის დროს ვერც ერთს კლასს ვერ მიემხრობიან, არამედ უნდა ემსახურებოდნენ საერთო საქმეს.

ასეთი ორგანიზაციებია: ჯარი და მთავრობისა და მუნიციპალიტეტების მოსამსახურეები.

ჯარი ვერ იქნება ვერც დაქირავებული მუშებისგან, ვერც მესაკუთრეებისგან, არამედ მან უნდა დაიცვას სამშობლო გარეშე მტრისაგან და შინაური წესიერება.

მთავრობა, ხალხის მიერ საყოველთაო ხმისმიცემით არჩეული, ვერ მიემხრობა ვერცერთს კლასს, ვერ დაიცავს ვერცერთი კლასის განსაკუთრებულ ინტერესებს, არამედ დაიცავს თვითეულ კლასს იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისა და ეკონომიურ-კულტურულ წარმატებისათვის.

ჯარისკაცი თავის მოვალეობას უსასყიდლოდ ასრულებს. სახელმწიფოს მოხელე კი—სასყიდლით. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება ვერა სცვლის მოხელის დანიშნულებას.

მაშასადამე, როგორც ჯარი, აგრეთვე სახელმწიფოს მოხელეების კავშირი, ვერ ჩაირიცხებიან რომელსამე პოლიტიკურ კავშირში.

ვსთქვათ, საყოველთაო ხმისმიცემით არჩეული მთავრობა აწარმოებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პოლიტიკას, რომელსაც ებრძვიან მუშათა პოლიტიკური კავშირები. სახელმწიფოს მოსამსახურეების კავშირები მუშათა ხსენებულ კავშირში ვერ შევლენ.

ამგვარადვე ვერ შევლენ სახელმწიფოს მოსამსახურეების კავშირები მესაკუთრეთა პოლიტიკურ კავშირშიც... როდესაც მთავრობა სოციალისტურ პოლიტიკას აწარმოებს.

ამიტომ შეკვეცა ლენინის მთავრობამ მუშათა პროფესიონალური კავშირების უფლებანი.

—მთავრობის მოსამსახურე—მთავრობის საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ის—სამმართველო ორგანიზაციის ერთ ერთი წევრია. და შეურიგებელი ბრძოლა მოსამსახურეებსა და მთავრობას შორის სახელმწიფოს დამარღვეველია, მაშასადამე, შეუწყნარებელი.

ამიტომ მოსამსახურეები ვერ გაიფიცებიან მთავრობას: ამგვარი გაფიცვები სახელმწიფოს განსაცდელში აგდებენ.

როდესაც მოსამსახურეები მთავრობას ეფიცებიან, ეს—პართია-გამგეობის დეზორგანიზაციაა.

მართალია, აჯანყება უზურპატორის, ხალხის უფლების უპატივმყოფელი მთავრობის წინააღმდეგ—მისაწყნარებელია. და საერთო აჯანყებაში ამგვარი მთავრობის წინააღმდეგ მოხელეებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

მაგრამ საერთო აჯანყება, რევოლუცია, მართველობის ძველი სისტემის დანგრევასა და ახლის აშენებას მოასწავებს. და, როგორც კი ახალი მთავრობა შედგება, ახალი მოხელეები კვლავ კალაპოტში უნდა ჩადგნენ, ე. ი. ახალ მთავრობას უნდა დაემორჩილონ.

მაგრამ ეს მოხელის მოქალაქეობრივი უფლებათა შეზღუდვა ხომ არ იქნება? ნუ თუ მოხელე მოკლებული უნდა იყოს თავის პოლიტიკურ რწმენას ან ამ რწმენისთვის ბრძოლის უფლებას?

— სრულიადაც არა. მოხელეს, როგორც ყოველ სხვა მოქალაქეს, უფლება აქვს ჩაეწეროს თავისუფალ პოლიტიკურ კავშირში, რომელიც შინაგად ისახავს არსებულ წესწყობილებასთან ბრძოლას.

მაშასადამე, მოხელეთა კავშირი ვერ დაისახავს მიზნად მთავრობასთან ბრძოლას, მაგრამ მოხელეებს ნება აქვსთ ებრძოლონ მთავრობის პოლიტიკას სხვა კავშირების საშუალებით.

მაშ როგორ, რა საშუალებით შეუძლიათ მათ გააუმჯობესონ თავისი ეკონომიური მდგომარეობა?

მოხელეებს ნება უნდა ჰქონდესთ მიმართონ უმაღლეს მთავრობას საერთო მოთხოვნით, ე. ი. აქვსთ „პეტიციის" წარდგენის უფლება.

აქვს უფლება დაიცვან თავისი ინტერესები აგრეთვე პრესსის საშუალებით. და ელაპარაკებოდნენ მთავრობას უზენაეს წარმომადგენლებს, როგორც თავისუფალი მოქალაქენი, ე. ი. როგორც სწორნი სწორთა.

იმავე დროს უფროს მოხელეს არ აქვს უმცროსის მოხელის უმიზეზოდ დათხოვნის უფლება. მაშასადამე, მოხელეს ნება აქვს აღადგინოს თავისი უფლება სასამართლოს საშუალებით.

აქედან სჩანს, რომ სახელმწიფოს მოხელეს, ერთი მხრით, ნაკლები უფლება აქვს, ვიდრე კერძო კაპიტალისტის მუშას, მეორე მხრით კი—მეტი.

და, როგორცა ვთქვით, ეს იმის შედეგია, რომ მოხელეს სოციალურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ის ვერ გამოვა მუდმივს, პერმანენტურ ბრძოლაში უმაღლეს მთავრობასთან, ვინაიდან სახელმწიფოებრივი აპარატის მუშაობის შეწყვეტა ერისათვის საშიშარია, მეორე მხრით, მისი მდგომარეობა განსაკუთრებული კანონებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

მაშ სახელმწიფოს მოხელეთა კავშირს განსაკუთრებული მიზანი აქვს, რომელიც ძირიანად განსხვავდება დაქირავებული მუშების კავშირის მიზნისაგან. ის—თავისებური კავშირია, რომელიც ვერც ერთს სხვა კავშირთა-კავშირში ვერ შევა.

სულ სხვაა კაპიტალისტების მიერ დაქირავებული მუშების კავშირი. ამ გვარ კავშირს ნება აქვს გაეფიცოს კაპიტალისტს. ეს უფლება—მოქალაქეობრივი თავისუფლების საფუძველია, თვინიერ ამ უფლებისა—მონობა დამყარდებოდა.

მესამე რიგის კავშირებს—ხელოსანთა, მესაკუთრე მიწის მოქმედთა და მრეწველთა კავშირებს კიდევ სხვა მიზანი და ხასიათი აქვსთ.

ხელოსანთა კავშირის მიზანი უმთავრესად ეკონომიურსა და წმინდა ტეხნიკურ საფუძველზეა დამყარებული.

ამ გვარივე ხასიათი აქვსთ მესაკუთრე მიწის-მოქმედთა კავშირებსაც.

და სწორეთ ასეთივე ხასიათი აქვსთ სამეცნიერო კავშირებს: ექიმების, იურისტების, ტეხნიკების, ეთნოგრაფების და სხვა კავშირებს მათი უმთავრესი მიზანი—მეცნიერული კვლევა ძიებაა.

დასასრულ, პოლიტიკური კავშირი, მართალია, ემყარება უმთავრესად რომელსამე კლასს, მაგრამ ხშირად შეიცავს სხვა და სხვა კლასის წარმომადგენლებს.

მაგალითად, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შედიან, როგორც მუშები, აგრეთვე სახელმწიფოს მოსამსახურეები, ხელოსნები, მესაკუთრე მიწის მუშები, აგრონომები და მრეწველები.

იგივე ითქმება ყოველი სხვა პოლიტიკური პარტიის შესახებაც.

მაშასადამე, თუმცა ყოველივე პოლიტიკურ პარტიას ბოლოს და ბოლოს ეკონომიური სარჩული აქვს, მაგრამ აქ თავს იყრიან ერთად მოპირდაპირე ეკონომიური ბანაკების წარმომადგენელნი და ყოველი მოქალაქე თავის პოლიტიკურ ზრახვას უმთავრესად პოლიტიკური ორგანიზაციების—კავშირების—საშუალებით ახორციელებს.

აქედან კი შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ყოველ კავშირს საკუთარი მიზანი აქვს და ერთი კავშირის მიზანი სხვა სახის კავშირის თავზე არ უნდა ჰქონდეს მოხვეული.

ეს, რაც მოხელეთა კავშირისთვის შეუსაბამოა, მიზანშეუსაბამოა კაპიტალისტების მიერ დაქირავებული მუშების კავშირისათვის და პირიქით.

ექიმთა სამეცნიერო [illegible] ურ კავშირს არ შეეხამება დაქირავებული საქარხნო ანუ სამიწის-მოქმედო მუშების კავშირის ანუ პოლიტიკური კავშირის მიზნები.

თავისი მხრით, პოლიტიკური კავშირი ვერ შეიქნება პროფესსიურ კავშირად.

მაშასადამე, არის სოციალურ ფუნქციათა რთული განაწილება და საზოგადოების დაყოფა კავშირებად ხსენებულ ფუნქციათა განაწილებას უნდა შეესაბამებოდეს.

და ისე, როგორც ღვიძლი კუჭის ფუნქციის ასრულებას ვერ შესძლებს, ვერც ერთი კავშირი სხვაგვარი კავშირის ფუნქციისას.

წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი არევა მოხდება, რომ ბაბილონის გოდოლის ამბავი განმეორდება და სოციალური ორგანიზმი დაირღვევა.

ვასილ წერეთელი.

„ლალატი"

ქართულ სცენაზე.

იპპოლიტოვ-ივანოვის „ლალატს" ქართულ სცენაზე ბედმა უღალატა!

ყველა მიმართულების,—რუსულმა, თუ ქართულმა,—გაზეთებმა ამ ოპერის ქართულად წარმოდგენის გამო დიდი განგაში ასტეხეს; ზოგს უნდოდა ამ ოპერაში პირველი აკკორდიდან უკანასკნელ აკკორდამდე სულ ქართული ყოფილიყო, მაგრამ რადგანაც ამგვარი ვერა ნახა რა, ისიც კი უგულებელ ჰყო და ძლიერსად ჩაუთვალა ავტორს, რაც ყურადღების ღირსია; ზოგმა თითქმის ვერავითარი დადებითი მხარე ვერა ნახა ამ ნაწარმოებში და ივანოვის ოპერას მოჰხადა ბადიში, რადგანაც ავტორის [illegible] ვერ გაუგებარ. ზოგმა კიდევ თავის რეცენზიაში ისეთი [illegible], რომ ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრების ლაბირინთს ჰქმნიან და ვერ გაიგებ, მოსწონს, თუ ჰგმობს ამ ოპერას, თუ მოსწონს,—რა მოსწონს და თუ არა, რას იწუნებს.

გაზეთების მიერ აზრების ასეთმა არევდარევამ და გაურკვევლობამ ლამის თავის ნაყოფი გამოიღოს: იქ, სადაც ხალხის მასსა საკმაოდ არ არის მუსიკალურად მომზადებული ამა თუ იმ ნაწარმოების მოსასმენად და საკუთარ მსჯავრსა და აზრს მოკლებულია, რასაკვირველია, ინსტიქტიურად ყურს მიუგდებს გაზეთის მიერ დაწერილ სიტყვასა და, მაშასადამე, შორს არ არის ის დრო, როდესაც ათი-ოცი კაცი და მივა ოპერის მოსასმენად და თეატრის დირექცია იძულებული იქნება მოხსნას ოპერა რეპერტუარიდან.

ასე მგონია, და ასეც უნდა იყოს, რომ სახიფათოა მსჯელობა მეცნიერებასა თუ ხელოვნებაზე, სადაც ერთნაირი ცოდნა საჭირო, ამისთანა წერის დროს ყოველთვის ზერელობა იჩენს თავს და ამიტომაც არის ხოლმე, რომ წერილის სიტყვაც, აზრიც მოკლებულია ძალას, რწმენას; ხოლო ვინც ცოტა რამ მიუხვდა, ან იცის რამე საქმისა, იმას ხომ [illegible] მსჯელობით სულაც ვერ დააჯერებ შენი აზრების სამართლეში.

გაზეთის წერილებმა „ლალატზე", ერთი შთაბეჭდილება იქონიეს; აქ სხვებთან შედარება—ივანოვისა, სხვების ბაძვა და სხვა და სხვა ლირიკულ ნაწილის სიჭრელე უფრო ბევრი იყო, ვიდრე არსებითი მსჯელობა თვით „ლალატზე".

მოუსმინოთ კარგათ, განა მართლა „ლალატი" იმდენი მწირი უშინაარსოა მუსიკით, როგორც ამას ამტკიცებენ გაზეთები? ამასაც კი ვიტყოდი, რომ ქართულ საზოგადოებას არა ერთი და ორი ოპერა მოუსმენია მუსიკით ღარიბი, შინაარსითაც გაცილებით „ლალატზე" მდარე, მაგრამ ამისთანა განგაში სულაც არ მოგვისმენია; შორს ხომ არ წავიდეთ, ავიღოთ ბიზეს „მარგალიტის მაძიებლები"; რა არის ამ ოპერაში ერთი არიის მეტი? მიუხედავათ ამისა, ხალხი მიდის ამ ოპერის მოსასმენად და უსმენს სამი დიდი აქტის ღარიბსა და იაფ მუსიკას. ჰო, არის კიდევ ერთი გვერდი ოპერის პარტიტურაში—დუეტი ბარნაბასი,—მაგრამ ამაზედ ლაპარაკიც კი არ ღირს. და განა მარტო „მარგალიტის მაძიებლებს"? აი ოპერა „ზაზა"—აქ იმდენი ცარიელი და ფუყე ადგილებია იმის პარტიტურაში, რომ ვერ ჩამოსთვლი; მაგრამ „ზაზა" ყველა თეატრების სარეპერტუარო ოპერაა და მას დაიდი მსმენელი არას დროს არ მოაკლდება. კიდევ ბევრი სხვა ოპერაა „ლალატზე" მდარე, მაგრამ საოპერო თეატრების რეპერტუარს კი ამშვენებენ.

„ლალატს" ნუ შევადარებთ პირველ ხარისხოვან ნაწარმოებებს:—„ჰუგენოტებს", „კარმენს", „აიდას" და სხვ.; შესაძლებელია მეიერბერს რომ დაეწერა „ლალატი", იგი ლიბრეტტოს ისტორიული ფაქტებითაც ალბად სხვანაირად ისარგებლებდა; ხოლო თუ „ლალატს" შევადარებთ მეორე ხარისხოვან ოპერებს, ვფიქრობ, სამართლიანობის სასწორი ამისკენ გადმოიხრება და ამისთანა თქმული ხიდვა კი ნებას მისცემს ივანოვის „ლალატს" დარჩეს სახელმწიფო თეატრის სარეპერტუარო ოპერად.

ვიმეორებ, განა ისე მდარე და მწირი „ლალატის" მუსიკა, როგორც ამას ამბობენ გაზეთები? ჩემის აზრით, სულაც არ არის მართალი, ბევრია ამ ოპერაში, რაზედაც [illegible] ივანოვს

თუ ასე ცუდად არის მოწყობილი ქართული ენის სწავლების საქმე სკოლებში, როგორღა მოეთხოვება ქართულის ცოდნა სკოლის გარეშე დარჩენილსა, თუ სკოლიდან დიდი ხნის გამოსულ მოქალაქეს?

ქართული ენა კი დღეს სახელმწიფოებრივი ენაა, მისი არ ცოდნა ამიერიდან ყველასათვის საგრძნობელი შეიქმნება და თუმცა ჩვენი გაპარუსკებული ძველი თუ გარდამავალი თაობა, ზოგი ერთი სამინისტროები, ბევრი დაწესებულება, მრავალი ქალი და კაცი კვლავ უცხო ენას უფრო ეტანებიან, ხვალ ასე აღარ იქნება და არც შეიძლება რომ იყოს, ვინაიდგან ეს ღალატია ჩვენი ქვეყნისა და ერისა! ამისათვის, რაც ადრე დავაღწევთ თავს მონობის ნაშთს,—უცხო—რუსული ენით—გატაცებას, რაც მალე შევუდგებით ქართული ენისა ისე ლიტერატურის შესწავლას, მით უფრო მალე გავხდებით ღირსეული მოქალაქე ღირსეული და თავისუფალი ქვეყნისა—საქართველოსა.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს დღეს უფრო ბევრი და დიდი მტერი ჰყავს. თუ ჩვენი ქვეყნის ნაბატონარი—რუსის მთავრობა—სიამოვნებით ხელებს იფშვნეტდა, ხედავდა რა ჩვენი ახალთაობის გადაგვარებასა და გარუსებას, თუ ჩვენი მტერ-მოყვარენი, ჩვენი მახლობელი, თუ შორეული მეზობლები—საქართველოს ყველა ,,სულთათანის'' [illegible] და საქართველო მიცვალებული გვონიათ,—მაშასადამე ანგარიშსაც აღარ უწევდენ მას,—დღეს, საქართველოს მკვდრეთით აღდგომის გამო გაბოროტებულნი — გველებივით დასისინებენ და მზად არიან აატეხონ საქართველო, დაამხონ მისი თავისუფლება, ფეხით გასთელონ მისი უზენაესობა, მისი ღირსება და პატივი, მისი პირნათლობა და ისტორიული დანიშნულება:—ხელმძღვანელობა კავკასიისა!

— ორი სხვა ხომ მოვსწყვიტეთ (აზერბაიჯანი და სომხეთი), ახლა მესამე [illegible] (საქართველო) უნდა ამოვგდოთ [illegible] ბუდიანათ!—გაგვიგონე იმ დღეს [illegible] ორიწოჭოლი [illegible] დროს რუსი სოციალისტებისაგან...

ასე ფიქრობენ არა ცხრა მთას იქიდან მოსული რუსები. ასე ჰფიქრობენ საქართველოს პურით და ღვინოთ, საქართველოს დოვლათითა და მფარველობით გამოკვებილ—გასუქებულებული ადგილობრივი რუსებიც, სომხებიც, ოსებიც.

კარგად მოწყობილმა სკოლამ, სათანადოდ დაყენებულმა სწავლებამ ქართული ენისა და მწერლობისამ, შინ თუ გარედ, შეიძლება ცოტათი მაინც გაალხოს გაყინული გული გარეშეთა. სხვა რა იყოს-რა ქართული ენის შესწავლა საშუალებას მაინც მისცემთ მათ შევიდენ სახელმწიფო სამსახურში და, რაკი [illegible] პურს იშოვნიან, იქნება ცოტა მაინც დაუყუჩდეთ გაბოროტებული გულის ტკივილები.

ყოველ შემთხვევაში, ქართული ენის [illegible] კურსები მე ჩემიანებისათვის უფრო მენატრება და ვისურვებ, რომ დუმბაძის კურსები სამაგალითოთ გამოდგარიყოს.

რამდენადაც ვიცი, სახალხო სამინისტროს ყოველგვარი დახმარება აღუთქვამს ამ კურსებისათვის და იმედია მალე სათანადო უფლებებითაც შეჰმოსავს მას.

მაშ, ესწრაფეთ ამ კურსებს შინაურნო, თუ გარეულნო, რათა ეზიარნეთ ქართული ენის სიტკბოებას და ქართული მწერლობა-ისტორიის უკვდავ იდეალებს. საქართველოსთანა დემოკრატიული ქვეყანა არც ყოფილა და არც იქნება.

ვისაც არა გჯერათ, შეისწავლეთ მისი ენა, ისტორია და მწერლობა!

ია ეკალაძე.

პარტიული ცხოვრება.

ეროვნულ დემოკრატ. მოსწავლე ახალგაზრდათა სრულიად საქართველოს ორგანიზაციების მე 4-ე კონფერენცია. მოწვეულია 1920 წ. დეკ. 19-ს.

განსახილველი კითხვები:

ა. მომენტი.

ბ. მოსწავლე ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტის მოხსენება კომიტეტის მოქმედების შესახებ.

გ. მოხსენებანი ადგილობრივი ორგანიზაციებიდან.

დ. ჩვენი პარტია.

1). პროგრამული მხარე:

ა. პოლიტიკური ნაწილი.

ბ. სოციალ ეკონომიური ნაწილი.

2). ტაქტიკა.

3). პარტიული მუშაობა.

ა. მთავარი კომიტეტი.

ბ. დამფუძნებელი კრების ფრაქცია.

გ. პარტიული პრესა.

დ. ჩვენი მომავალი პარტიული მუშაობისა,

ე. არჩევნები.

ვ. ზოგადი ხასიათის მოხსენებანი.

წარმომადგენლობის წესი:

1. ახალგაზრდათა მთავარი და სტუდენტთა კომიტეტების სრული შემადგენლობა.

2. ყველა მოსწავლე ახალგაზრდათა ორგანიზაციებიდან ყოველს 50 წევრზე 1 დელეგატი.

3. სადაც 50-ზე ნაკლებია, შეუძლია იყოლიოს კონფერენციაზე 1 დელეგატი.

ყველა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან წერილობით წარმოადგინონ მოხსენება ორგანიზაციული მუშაობის შესახებ და პროგრამულ კითხვებზე არა უგვიანეს 15 დეკემბრისა.

5. დელეგატს უზრუნველ ყოფს ადგილობრივი ორგანიზაცია.

ერ. დემ. პარტ. ახალგაზ. მთავარი და სახელ. უნივ. ხტ. კომიტეტები.

სამხატვრო ქრონიკა.

სახალხო სახლში.

ზუბალაშვილის სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ წრემ დაადგინა: 12 ამა დეკემბერს გამართოს გვარდიის დღე, წარმოდგენილი იქნება 1 მოქმედება ,,მსხვერპლიდან'' და ,,რაც გინახავს ველარ ნახავ.''

მხოლოდ 13-ს გადიდებულ ფასებით წარმოდგენილი იქნება ,,ღალატი'' ფრონტის დამხმარე კომიტეტის ფონდის გასაძლიერებლად.

გამგეობამ გადასწყვიტა ახლო მომავალში გადიხადოს იუბილე ქ-ნ სოფიო რომანიშვილ-დვებუაძეს 20 წლის სახალხო სცენაზე მოღვაწეობის შესრულების გამო.

— დ. ჩოლოყაშვილმა უძღვნა ქართულ დრამის თეატრს სცენისთვის გამოსადეგი ძველებური ნივთები, რისთვისაც სახელმწიფო თეატრების დირექცია მადლობას უცხადებს ბატონ ჩოლოყაშვილს.

სახელმწიფო ოპერა.

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს პირველად განახ. შემდეგ ,,ფრა-დიავოლო.''

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს პირველად განახ. შემდეგ ,,ტოსკა''.

პარასკევს, 10 დეკემბერს ,,აბესალომ და ეთერი''

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომა მოხდება დღეს, 8 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე სახელოვნო ცენტრის სადგომში (სასტ. ,,კავკაზი'') ერთი საათით ადრე მოხდება იმავე საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ჩვენი კორესპონდენციები

ქუთაისი.

ამ წლის 7 ნოემბერი დაუვიწყარი იქნება ქუთაისის მატიანეში.

ამ დღეს მოხდა აქ დასავლეთ-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო ბანკის აქციონერთა პირველი კრება, რომელზედაც გამოცხადდა 230 აქციონერი 618 ხმის უფლებით.

კრება გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ტრიფონ ჯაფარიძემ, რომელმაც შემდეგი მოხსენებით მიმართა დამსწრეთ:

,,ბ.ბ. ქუთაისში მოსდგა წრე ისეთი პირებისაგან, რომელნიც ღრმათ დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა განსაკუთრებით დამოკიდებულია ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაზე და საერთოდ მეურნეობის აღყვავებაზე.

ამ დიადი მიზნის განსახორციელებლად, სხვათა შორის, ერთ საშუალებათ მიგვაჩნია სააქციონერო ბანკის დაარსება, რომელიც ფართო მასშტაბით გასცემს სესხს და ხელს შეუწყობს ვაჭარ-მრეწველს და მწარმოებელს, იმოქმედოს და შეჰქმნას ქონება კერძოც და საზოგადოც.

წრემ ითათბირა ბანკის გახსნის შესახებ, აირჩია საორგანიზაციო კომიტეტი და შეუდგა საქმეს. მოკლე დროში შესდგა წესდება და სათანადო წესით მთავრობისაგან დამტკიცდა. შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტი შეუდგა აქციების გაყიდვას და იპოვა კიდეც ნიადაგი საზოგადოებაში.

ქუთაისში არა თუ მსხვილმა ვაჭარ-მწარმოებელმა, არამედ წვრილმა მოვაჭრე და ხელოსანმაც კი დიდი თანაგრძნობით შეიძინეს აქციები.

მივმართეთ პროვინციაში სამ ადგილას—ბათუმ, ფოთს და ოზურგეთს, აქაც თანაგრძნობით მიგვიღეს, განსაკუთრებით ბათუმში იშვიათი ხალისით შეგვხვდენ და რამდენიმე დღის განმავლობაში ორი მილიონი მან. აქცია შეიძინეს.

მართალია, კომიტეტს ბევრი დაბრკოლება შეხვდა წინ მუშაობის დროს, მაგრამ დღევანდელ ბრწყინვალე დღეს ნება მიბოძეთ, ეს არ მოვიხსენიო და სრულ დავიწყებას მივსცე.

ამგვარად, საორგანიზაციო კომიტეტმა მთავრობის ნებართვით და საზოგადოების თანაგრძნობით აასრულა დავალება და დღეს გილოცავთ, პატივცემულნო მოქალაქენო, ამ სახარბიელო ნაბიჯის გადადგმას და გისურვებთ დღეს საიმედო საძირკველი ჩაუდგათ დიდებულ შენობას, რომელიც ერსა და ქვეყანას გააკეთებს და დაამშვენებს.

კეთილი ინებეთ, იმსჯელეთ და დღეს ისეთი საბჭო და გამგეობა აირჩიეთ ბანკს, რომელიც მას მტკიცე ნიადაგზე დააყენებს და სათანადო ღირსებით წინ გაუძღვება''.

მომხსენებელი კრებამ ტაშით დააჯილდოვა.

ამ მოხსენების შემდეგ კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ქალაქის გამგეობის წევრი, ალექსანდრე ჯაფარიძე და მდივნად მასწავლებელი სამსონ ყიფიანი.

კრების თავმჯდომარემ მოახსენა დამსწრეთ პროექტი 14 თვის ხარჯთ-აღრიცხვისა, საიდანაც ჩანს, რომ ახლანდელი ცხოვრების გართულების გამო საორგანიზაციო კომიტეტს შედგენილი დაახლოებითი ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლის პირველ ნოემბრიდან 1921 წლის 1 იანვრამდე უდრის 6,859,500 მანეთს.

კრებამ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა უკამათოდ და ერთხმად მიიღო და ამასთანავე დაადგინა, რომ ფულები გამგეობის საბჭოს წინასწარი დასტურით გაადიდოს ხსენებული ხარჯთ აღრიცხვა პირობათა და ბანკის საქმეების მსვლელობის და ვითარების მიხედვით.

საორგანიზაციო კომიტეტის პროექტის მიხედვით კრებამ 20 კაცისაგან შედგენილი საბჭო აირჩია;

საბჭოს წევრებად კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ შემდეგი პირნი: ტრიფონ ჯაფარიძე (თავმჯდომარეთ) ალ. ჯაფარიძე (მოადგილეთ) ზეინალოვი, პეტრე რაფაელოვი, კილასონია, ვლად. წერეთელი, გარ. ჟორჟოლაძე, ბარ. უფარაძე, მარდახ ფიჩხაძე, ივ. ნემსაძე, სიმ. ოცხელი, ტრ. ბასილაძე, მიტრ. რუხაძე, იოს. გვეტაძე, სამ. გოგიბერიძე, სიმ. ეზიკაშვილი, მიტრ. ლალიძე, გიორგი გორდაძე და დავ. სტურუა.

სარევიზიო კომისიის წევრებად კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ შემდეგნი: მიხეილ ორაგველიძე, ივანე გაჩეჩილაძე, პავლე ჩიკვეტაძე, ვანო ხოჯაშვილი, გიორგი ქავთარაძე.

რადგანაც წესდების § 23. მოთხოვნილებისამებრ გამგეობის წევრების კანდიდატებს ასახელებს საბჭო, ამიტომ კრების სხდომა 20 წამით შეწყდა და საბჭო სათათბიროდ განკერძოებულს ალაგს შეიკრიბა.

თათბირის შემდეგ კრების თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ გამგეობის თავმჯდომარეთ დასახელებულია ვლად. მიქელაძე,—წევრებად კი გარ. ქილაძე, აკ. აბულაძე და მირონ ბასილია.

ესენიც კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ.

კრება ყველა არჩეულებს ტაშის კვრით მიეგება.

ტრიფონ ჯაფარიძეს და მთელს საორგანიზაციო კომიტეტს კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა იმ რთული შრომისათვის, რის მეოხებითაც ასე კეთილად და საიმედოთ გამოეწყო ხსენებული ბანკის დაარსების საქმე.

ბანკი გაიხსნა 5 დეკემბერს.

დამსწრე.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

მატარებელთა მ მოსვლა

ფოსტის მატარებელი № 3.

თბილისიდან ბათომში—დილის 10 ს. 53. წ.

მატარებ. № 3. № 7.

თბილისიდან ფოთში საღამ 7 ს. 14 წ.

მატარებ. № 21.

თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10 ს. 37 წ.

მატარებ. № 19.

თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს. 20 წ.

მატარებ. № 140.

თბილისიდან სალოღლში დილის 9 ს.

მატარებ. № 390.

თბილისიდან სანაინში დილის 7 ს. 45 წ.

მატარ. № 4.

თბილისიდან კახეთში დილის 8 ს. 30 წ.

თბილისში მოდ ს.

მატარებ. № 4.

ბათომიდან თბილისისკენ გამოდის საღ. 10 ს. 27 წ.

თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46 წ.

მატარებელი № 7.

ფოთიდან თბილისისკენ გამოდის ღამის 12 ს. 2 წ.

თბილისში მოდის დღის 2 ს. 13 წ.

მატარებელი № 22.

ბათომიდან თბილისისკენ გადის ღამის 12 ს. 58 წ.

მატარებელი № 19.

ხაშურიდან თბილისისკენ მოდის ღამის 2 ს. 16 წ.

თბილისში მოდის დილის 8 ს. 2 წ.

მატარებ. № 141.

სალოღლიდან თბილისისკენ გადის დილის 9 ს 10 წ.

თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36 წ.

მატარებ. № 416.

სანაინიდან თბილისისკენ გადის დილის 8 ს.

თბილისში მოდის დღის 4 ს. 53 წ.

მატარებ. № 3.

კახეთიდან თბილისში გადის [illegible] ს. 20 წ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი

ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. [illegible] სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის'' მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტექნიაზე'' (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2 თვ.

სამკურნალო

ელექტრონის რენტგენის და სინათლის,

მიხეილ მედევანიშვილის

დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

დოქტორი

გ. გ. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობა, ქლე გულისა. იღებს რენტგენის ელ წამლობის კაბინეთში. გასინჯ წამლობა X-ს სხივებით. ჰლექებ რაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ დილის 9—12 საათამდე და საღ საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ფონი 7—97.

ექიმი

ე. ი. კალანდა

ლებულობს შინაგან სნეულებათ მყოფებს დღის 8—12 ს. ვენ სიფილისი (შეშხაპუნება 606 და საშ რდე ორგანოთა საღ. 5 გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ თხე ზემმელის აფთიაქთან. ტელეფ. 18—95.

დაბრუნდა და განაახლა ავადმყ მიღება.

ექიმი

მ. ო. ხანდუკელ

შინაგან და ნერვების ავად ელექტრონით წამლობა. ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანას ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31. № 3

თვალების ავადმყოფ

ექიმი

მ. გოლუშტეინ

სათვალეების შერჩევა. ავადმყ მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდ ღამის 2—7 საათამდე. ნიკოლოზის ქ.

ექიმი

რეზო მაჩაბელ

კანისა და ვენერიული სნეულება მლობა ახალი და ძველი სუსუ სიფილისი (606—914 შეშხაპუნე ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 1 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4 ლის აფთიაქის პირდაპირ.

ქუთაისი

ექიმი

ისაკ იაკობის-ძე

მინოვიჩი

ღებულობს შინაგან და ბავშვთა ლებიან ავადმყოფთ. ყოველ დღე დილის 10-12 ს. და 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჰოლოშ № 32

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძ

შინაგან, კისრის, ცხვირის და ავადმყოფობის. ავადმყოფების მიღება დილის 12— საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ქსანდროვის ბაღის პირდაპირ ტელეფ. 16—65; 1. 7—49

[illegible] გამოხატულების შტრიხი ან ერთ, ღრმა, მძაფრი იყოს ამა თუ იმ მენტის, სულიერ ძვრათა გამოსახატა-, მაგრამ რომელი ოპერა მოგისმენიათ უნაკლულო? განა ბევრია ასეთი რა, რომელნიც თავიდან ბოლომდე ის მთლიან პოეტურ ნაწარმოებს მოადგენენ? ნუ მიმითითებთ ვაგნერზედ, მის ოპერის ლიტერატურაზედ, აც პოეზიებსაც კი თავისი დანიშნულება აქვს. არც ,,ღალატი'' წარმოადგენს ერთ მთლიან თხზულებას, მაგრამ ამ პარტიტურის ფურცლებში ჩაბნეულია ბევრი მარგალიტივით ძვირფასი [illegible], რომლებიც მაყურებელი [illegible] ლად ადევნებენ ხან სა[illegible], ხან დასაწყლად. უსამართლო იქნებოდა გვეთქვა არ ვარგაო [illegible] გვაქვს პირველ აქტში ქალ[illegible] პირველი გუნდი და სოლეიმანის [illegible]ბითა ცეკვა, რომელიც დიდის გემოვნებითა და აღმოსავლეთური ჰანგის [illegible] არის დაწერილი. გუნდისა და [illegible]ბის ცეკვის მუსიკაში ზედმიწევ[illegible] არის ამოწურული აღმოსავლეთის [illegible]ობა ამ მხარის დამახასიათებელი ინტერვალი გაზვიადებულ, ფარ[illegible] გაწეულ სეკუნდით და განა [illegible] მეტი რა უნდა მოვთხოვოთ ავ[illegible]ს, რომელიც, ,,გრუზიის'' რეცენ[illegible]ის სამართლიანი თქმისა არ იყოს, [illegible] ,,მბრწყინავ მუსიკოსთაგანი არ [illegible].

,,ღალატში'' კიდევ არის სხვა სასიამოვნო ადგილები: რა წუნს დასდებთ [illegible] ის ,,არიოზოს'' მეორე აქტში [illegible] მოჰკლეს? ან კიდევ, კარ[illegible] ყური მუსიკის ილლიუს[illegible]ციას—განა ცუდათ არის დაწერილი [illegible] აქტში ზეინაბის მონოლოგი? [illegible] სასიამოვნოთ, ნაზათ, ბუნებრივ აკომპანიმენტით ქნარზედ ორკესტრში [illegible]ობით ქართველი ახალგაზრდა [illegible] გატაცებულ ირაკლის სიყვარულს? [illegible] არია,—და ეს ხომ თავიდან [illegible]დე ქართული სიმღერაა, ქართულ [illegible] თქმული, მოსმენილი. მაშ, რა [illegible] ირაკლის თავშეკავებულ, [illegible] სიყვარულს რომ იძახის, [illegible] ეს ნაზ , სურნელოვანი ქართული [illegible]? იცით კი ეს რა ს მელ-

ქართველთა თავად აზნაურობის ქონებაც, [illegible], მაგრამ ეხლაც მის [illegible] გაისმის და დასტურის მისივე სულით [illegible] მწარე, ნაღვლიანი ჰანგები, დასტურანი და [illegible] თავის მაქმელებს, რომლებთანაც იყვნენ შეზრდილნი და აღზრდილნი. ეხლაც მოისმენთ ,,აჰ, დრონი, დრონი'' იშვიათად, ხოლო ამ 15—20 წლის წინად კი გაღლებული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა შეიქცევდა თავს მკვნესარ თარზე ამ სიმღერის ღიღინით. ამ ბოლოს დროს ამ მელოდიას აუწყვია ი. ჭავჭავაძის ,,მკრთალი ნათელი'' და ივანოვსაც სწორედ ამ სიტყვებით აქვს ჩაწერილი ეს ჰანგი. აი ეს სიმღერა, დ წერილი ისე ნაზად, სუმბუქის აკომპანიმენტით რუქაიას ნათქმელ დ ირაკლის მიერ. დიდი უარის მყოფელიც რომ ყოს ყველაფრისა და გარდა თავისი თავის უნიათობისა მეტი რომ არა შიაჩნდესრა ადამიანს, ამ ფურცელს ,,ღალატისას'' მაინც წუნს ვერ დასდებს. ალბად ამ ,,არიას'', უვიცი მუსიკოსების მეტი, ყველა უწევენ ანგარიშსა და იგი ამიტომაც ხშირად, ძალიან ხშირად ეს ,,არია'' ამშვენებს ხოლმე კონცერტების პროგრამას.

რაღა ვსთქვათ სოლეიმანის ,,არიაზე'' უკანასკნელ აქტში; ამ ნომრის მუსიკა,—რუსები რომ იტყვიან, ,,создаетъ настроеніе''—სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ეს არია, იმათვისაც კი, ვისაც უნდა, რომ ეს ოპერაც თავიდან ბოლომდე ქართული ყოფილიყო, ინტერესს არ არის მოკლებული და ,,ღალატში'' მოიძებნს რამდენიმე ქართულ ჰანგს; აი თუნდა ზეინაბის სიმღერა პირველ აქტში სოლეიმანთან, სანამ რუქაიას გამოიყვანდეს; მხოლოდ ამ სიმღერისა სისავერია, ამ ძველთა-ძველ მელოდიაზე იტყვიან სიტყვებს ,,ჰოი, ვითარ შენ თქვი განსაკრთომელი, ჩემი სიცოცხლის დამამშვრთობელი''. თუ მსმენელისთვის შეუმჩნეველად გაირა ამ სიმღერამ ოპერაში, აქ საკვირველი არა არის რა. თვით მელოდია ძველებულია და მივიწყებული და ამ სათვის საკვირველი არა იქნება რა, რომ ახალ თაობისთვის იგი უცნობიც იყოს.

ლის სინათლეს''—მელოდიას,—ამას კი ყველა შეამჩნევდა და შეაჩნია კიდეც.

როგორც ვსთქვით, ერეკლეს არიოზოს ლეიტ-მოტივაც ქართული ჰანგია.

მესამე სიმღერაზედ რაღა ვსთქვათ.

ის სხვა კითხვაა, ივანოვმა როგორ ისარგებლა ამ ქართული მოტივებით; მეორე კომპოზიტორი ამ ჰანგებს სხვა ჩუქურთმით ჩარჩოში ჩასვამდა, სხვანაირად ააფერადებდა, ხოლო ივანოვისე მიუდგა მათ, როგორც მას ეყურებოდა. ესეც კი უნდა ითქვას, რომ ყველა მათ ალაგას ან ,,კოჩხა'' ან ,,პოი ჩქიმ ოლდვა'', ან ,,ვთოხნოთ ეთოხნოთ სიმინდი'', ან ,,ველია დელია'' რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ ლტაცებას ნაცნობი ჰანგით საზღვარი არ ექნებოდა და ოპერასაც ნამდვილ ქართულ ოპერად ვაღიარებდით.

ასე სხვა ქართულ ოპერებში, არც მეტი, არც ნაკლები; ასე იქნებოდა აქაცა.

,,ღალატში'' კიდევ არის ლაზათიანად დაწერილი სტროფები, რომელთაც სამართლიანმა შეფასებამ გვერდი არ უნდა აუხვიოს; აი ავიღოთ თუნდაც ოთარბეგის სახლთან ზეინაბის საზეიმოდ გამართულ ცეკვის მუსიკა. სიმკვირცხლე, ორიგინალობა ამ მუსიკისა უეჭველია ყველა მსმენელმა იგრძნო ,,ღალატის'' წარმოდგენებზედ, და მეტი რაღა მოვითხოვოთ იმ ქორეოგრაფიულ მუსიკიდან, რომელმაც ადგილობრივი თვისებანი ხალხისა ჩაცმულობით, ტემპერამენტით თუ სხვა რითიმე, უნდა გვაგრძნობინოს და გვამცნოს?

სიკეთეს და მადლიერობა'ს ყოველთვის კარგი სიტყვით მფარველობა სჭირდება, ამ თვისებებს ხშირად ვერ ვამჩნევთ, მეტადრე კი მაშინ, როდესაც მათ გვერდში ატეხულია უკეთობა; უკეთობას უფრო ადრე ამჩნევს კაცი, ვიდრე სიკეთეს—ასეთია ბუნება ადამიანისა! ასე მოხდა ,,ღალატზედაც''. ერთი ორი ადგილი იყო [illegible] ტექსტთან შეუთანხმებელი მუსიკა, რომ ოპერის სხვა ღირსებებიც თან მიჰყვეობინა.

ოპერის მღერე ადგილების ასანაზ-

[illegible]; ავიღოთ თუნდაც ეს მშვენიერი მოწყობილობა სცენისა, ჩაცმულობა, ხოლო ხალხის მოძრაობა, ყველა ეს ერთად, ჩემის აზრით, ,,ღალატს'' შეჰქმნის სახელმწიფო თეატრის სარეპერტუარო ოპერად. მე დიდი თაყვანისმცემელი არ ვარ ბ. წუწუნავას უნარისა, მაგრამ, რაც მან გვიჩვენა გამოჩინა ამ ოპერის დადგმაში, ეს დიდი სიამოვნებითა და კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს. წუწუნავა დიდს ყურადღებას აქცევს არამც თუ მოქმედი პირის ჩაცმულობას, მოძრაობას, არამედ უკანასკნელ სტატისტის და მის მოძრაობასაც კი ამიტომაც არის, რომ ქულაჯა თუ ჩოხა სცენაზედ მომქმედ პირებს ისე ადგიათ, თითქო მათ ტანზედ არის შეკერილიო და მანეკენებათ არიან გადაქცეულნი ალბათ ბ. წუწუნავა კარგათ იცნობს ფრიტაგის ,,მხედველობითი ილლიუზიის ჰარმონიას''-ს სასცენო ხელოვნებაში;—ესეთი ცოდნა და დაკვირვება კი ეხელმწიფება სინდისიერს და საქმის მოყვარულ სცენის მსახურებს.

სასიამოვნოა აგრეთვე ბალეტის მწყობრი ცეკვა; მისი ჩაცმულობა ჰარმონიულად არის შეხამებული, თვით პირისფერი, ქალიშვილებიც კი აღმოსავლეთის ძვირფას ფარჩად ეჩვენება ილლიუზიას.

ერთი უხერხულობა ვნახე, რაზედაც არ შემიძლიან არ მივუთითო ბ. წუწუნავას. უკანასკნელ აქტში სოლეიმანი და დათო გაუმკლავდებიან ერთმანეთს; აგერ კიდეც ეკვეთნენ. ამ დროს სოლეიმანის დარბაზში შემოვარდება 3 4 მეომარი და იმის მაგივრად, რომ ეცნენ სოლეიმანსა და ნაჭერ-ნაჭერ აჰკუწონ, ისინი შორიდან, ავანსცენიდან უყურებენ დათოსა და სოლეიმანის შეჭიდებას. ვიკითხოთ: განა გაალმასებულ მეომარს რომ დაენახნა საყვარელი დათოს გამკლავება სოლეიმანთან, დაცდიდნენ კი რომ დათოს მოეკლა მოპირდაპირე. არა პირდაპირე. ესენი გაკვეთებოდნენ მტერსა და დათოს ერთი წამითაც არ ჩააგდებდნენ საფრთხეში; მაშასადამე ეს მეომრები რომ ცოტა გვიან შემოცვივდნენ სოლეიმანის დარბაზში, უფრო ბუნებრივი იქნება.

იას ყვირილი სცენაზე: ,,ღალატი, ღალატი''... ეს ფრაზა უნდა გაისმოდეს სცენის უკან პირველად, რაწამსაც ფეხი შემოდგა სასახლეში და მეორედ კი სცენაზედ. ამას აზრიც ექნებოდა, ეფექტიც.

მართალია ,,ღალატს'' ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ უმთავრესი ნაკლი, ვფიქრობ, ამ ოპერისა არის ის, რომ აქ ორკესტრში დაუსრულებლივ არის ნახმარი სასულე საკრავები; არ ვიცი ავტორის ორიგინალურ ორკესტრაციაშია თუ აქ გაკეთებულ ორკესტროვკას შეუწყეს. ერთის სიტყვით, ოპერის ახმაურებულმა მუსიკამ ყურები გამომიჭედა, სმენა ძალიან ცოტას ისვენებდა. ეს უკვე ცნობილია, რომ სასულე და სპილენძის საკრავები ნაკლებ გამოხატავენ და გარდმოგვცემენ ადამიანის სულის ძვრას, ამა თუ იმ განცდას, ვიდრე სიმებიანი საკრავები. და ჩემის აზრით, ამიტომაც არის, რომ იპ—ივანოვის მუსიკა ღალატის ტრაგედიას ვერ გადმოგვცემს მთლიანად იქაც კი, სადაც მუსიკა დრამის ტექსტთან შეწყობილი მარტო თავის დანიშნულებას ემსახურება და სხვა არაფერს.

ერთი კიდევ: მე დიდი პატივისმცემელი ვარ ბ. სტოლერმანის და როგორ გავბედავ ეჭვი შევიტანო მის ცოდნასა და გამოცდილებაზედ, ამიტომ ვფიქრობ ბ. სტოლერმანი უფრო ადვილად მოისმენს და ავვისრულებს თხოვნასა: ფრიად სასურველია არტისტების სიმღერის დროს ორკესტრის თანამავალი მუსიკა ცოტა წყნარი და ჩუმი იყოს; არტისტები ,,ღალატში'' თითქმის ყველა უცხო ტომისანი არიან, და ცხადია, ქართული წარმოთქმაც სიტყვებისა უძნელდებათ; ახმაურებული მუსიკა მათ წარმოთქმასაც და სიმღერასაც მთლად ჰფარავს და მსმენელზედ თვით პატეტიური ადგილებიც კი ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ. ესეც რომ არ იყოს, ახმაურებულ ორკესტრში ათასნაირი ნიუანსების გამოყვანა ფრიად ძნელია,—ეს თვით სტოლერმანს უფრო კარგად მოეხსენება, ვიდრე მე; ამ დინამიურ ეფექტების გამოკვეთა ორკესტრში ფრიად საჭიროა ნაწარმოებისთვის და ავტორმაც ეს მრავალი წარწერანი სწორედ იმიტომ წა-

ნი უკეთესი მოლაპარაკენი და ამხ ნი არიან კომპოზიტორის განზრა და სურვილებისა მსმენელის წინა

,,გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის'' შ საძლებელია მოვალე მკითხ ყურადღება გრძელი წერილით; მ ეს იმიტომ გავბედე, რომ მეჩვენ ესა თუ ის დადებითი ღირსებანი ლატისა'' და ეს მაინც ჩაეთვალოს რის ავტორს აქტივში.

ამ შემთხვევაში თუ მე გამოვეხ ცოტა სასტიკ წერას ღალატზედ, ტომ კი არა, რომ ივანოვი ჩემს მენდაციას თხოულობდეს და ,,ღ ტი'' მფარველობასა, არა; მე პატ კაცი, როგორ გავბედავ ივანოვის გ ქომაგებასა, ,,ღალატიც'' მოწაფის წერს არ წააგავს, რომ ვისიმე მფ ლობას თხოულობდეს, თუ გამოვე რე ცოტა უსამართლო წერას ,,ღა ზედ'', იმიტომ, რომ რეცენზენტები ტა ლმობიერად მოეპყრან და ესე მასებულ ხმას ნუ დაახვედრებენ დეგში ყველა იმას, ვინც გაბედავს ლატის'' მინაგვარი რამე აწყოს ქა ულ სცენას.

სამართლიანად შენიშნა ,,სახა გაზეთმა''; იყო დრო, როდესაც ყ ლივე ნაწარმოები, რასაც კი ქართ სუნი ასდიოდა, თბილისის პრესას მოეთმინა, ჰგმობდა და ფესვიანად და. სწორედ ამისთანა ავაზაკურ დაიდგა ,,ღალატი'' თბილისის ს ზედ და აბა, ეს ოპერაც როგორ გა ჩებოდა ,,ლისტოკისა'', ,,კავკაზისა'' სხვა გაზეთების ლანძღვა თრევას. მ ამისთანა კილო რუსული გაზეთ ჩვენთვის ადვილი გასაგები იყო, მა ეხლაც რომ განვაგრძოთ ამისთანა ნით მსჯელობას, ეს კი ვერ გამ ეხლა ჩვენ იმისთანა ხანას განვიც რომ ყველა ჩვენი ნაბიჯი და სი ჩვენ მდგომარეობასთან შეწონილ თანხმებული უნდა იყოს. ამას მო ხოვს მომენტი და ამ მიზნით ყველ შუალება უნდა იყოს ნახმარი, რომ ლატი'' დარჩეს სახელმწიფო თეატ სარეპერტუარო ოპერად იმ დრომ სანამ ამ ს მოხსნიდეს ქართველი მ კ ხის.